№ 2840
პარასკევი
10 ივნისი

ცნობის ფურცელი

№ 2840
პარასკევი,
10 ივნისი

ხელის ფასი: წელიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტფილისი № 37.

8 ივნისს ქ. ქუთაისში გადაიცვალა

ალექსანდრე წულუკიძე

რასაც განსვენებული ამხანაგები აუწყებენ მეგობართა და ნაცნობთ. დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 12 ივნისს, დ. ხონში, სადაც გაასვენებენ ქუთაისიდან იმავე დღეს დილის 9 საათზე. (3—6.—1)

8 ივნისს ქ. ქუთაისში გ-დაიცვალა.

ალექსანდრე გრიგოლის ძე წულუკიძე

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა ელენე, დედ-მამა თავადი გრიგოლ სიმონის ძე და მარიამ ერმილეს ასული წულუკიძენი და მამიდები კნეინები ნინო ჩიქოვანისა და მარიამ დადიანისა. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 12 ივნისს, დ. ხონში, სადაც გაასვენებენ ქუთაისიდან იმავე დღეს, დილის 9 საათზე. (3—6.—1)

საპედაგოგიო საბჭო

ტფილისის მიხეილის სახელობის სახელოსნო სასწავლებლისა

ამით აცხადებს, რომ, ქალაქის გამგეობის 1905 წლის 12 მაისის დადგენილების თანახმად, მდგომარე წელს მოსწავლეთა მიღების დროს უპირატესობა მიეცემა ქალაქ ტფილისში დაბადებულთ, თუ დედ-მამა წარმოადგენს საბუთის ქაღალდს ამისას, რომ ისინი ტფილისის საოჯახო სიებში არიან შეტანილნი. ამას გარდა ვისაც სასწავლებელში შესვლა ჰსურს, უნდა წარმოადგინოს: დაბადება-მონათვლის მოწმობა, ყვავილის აცრის მოწმობა და იმის მოწმობა, თუ რა სწავლა აქვს მიღებული. (6—4)

ახალი ბუფეტი

„არარატი"

(ავჭალის ქუჩის დასაწყისში, სადაც ავჭალის ვაგონების გზა უხვევს, კუთხის სახლი, № 38, ს. არუთინოვისა).

სუფთად და კოხტად მოწყობილ ბუფეტში მზადდება ევროპიული და აზიური საჭმელები. სანოვაგე ახალი და საუცხოვო. სადილ-ვახშამი ყველასთვის ხელ მისაწვდენი. საუკეთესო კახური ღვინოები, ცოცხალი და სხვა. სადილი ღირს: ორი თავი საჭმელი, ერთი ჭიქა არაყი და ერთი ჭიქა ღვინო ან ლუდი—40 კაპ.; სამი თავი საჭმელი, 1/2 ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა—65 კაპ.

(თვ.—6.—21) პატივის ცემით ვანო.

მეორე საზოგადო კრება

ბეჭდვითი სიტყვის მოღვაწეთა საზოგადოებისა

დანიშნულია 19 ივნისისთვის ქალაქის საბჭოს დარბაზში.

განსახილველი საგნები: ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა ქონებრივი მდგომარეობა და პრესის ვითარება კავკასიაში. კრება დაიწყება დილის 11 საათზე. შესვლისას წარდგენილ უნდა იქნას საწევრო ბილეთი.

შენიშვნა: იმ წევრებს, რომელთაც არ შეუტანიათ ყოველთვიური გადასახადი, შეუძლიანთ შეიტანონ კრების დღეს. (3—6.—2)

გაიღო რესტორანი ბაღით

„კავკაზი"

(მეორე სახლი ფუნიკულერიდან)

მამა-დავითის გორაზე, გრილათ მოწყობილი კაბინეტებით.

მზადდება ევროპიული და აზიური სადილი:
ორი ბლუდი, 1 რუმკა არაყი ან ღვინო . 50 კ.
სამი ბლუდი, არყით ან ღვინით . . . . 75 კ.
ოთხი ბლუდი 1/2 ბ. ღვინით ან რუმკა არყით 1 მ.
დრო სადილისა—12 საათიდან 5-მდე. მიიღება ყოველგვარი ზაკაზი.

ყოველ დღე საღამოს 4 საათიდან 11 საათამდის დაუკრავს მუსიკა მეორე კავკ. მსროლელთა ბრიგადისა. ორკესტრის მართველი კარელ ლემი.

რესტორანის პატრონი ტ. ი. ფარჯანიძე. (15—244—5)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 12.

ექიმი

ნ. ტ. მ უ ლ ი ნ ი

ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე, დღისით 12—2 და საღამოს 6—8 საათამდე, სუდებნი ქ. № 26. (20—6.—10)

კბილის ექიმი

ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2-მდე და 5—7-მდე. კვირაობით მხოლოდ 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივანისა. (30—21)

ექიმი

გ. ა. გედალინი

მადათოვის ქუჩა, № 15, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (30—6.—24)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

8 ივნისი

მოსკოვი. მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა დაბეჭდვინა კურო-პატკინის დეპეშა ზავის სასარგებლოდ გამართულ აგიტაციის წინააღმდეგ და გაუგზავნა იგი ყველა ქალაქების სამმართველოებს, ერობებს და სათავად-აზნაურო საზოგადოებებს.

ვაშინგტონი, 8 ივნისი. ამერიკის მთავრობა მიიმატყუებს მიიღოს მონაწილეობა საფრანგეთისა და მაროკოს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების შესახებ გამართულ კონფერენციაში.

თეირანი. მეშედიდან მოსულ ცნობებით, რუსებს, უკანასკნელ დროის არეულობის დროს, ას ათას მანეთზე მეტი ზარალი მოსვლიათ. ინგლისელებს სულ უფრო ხშირად გადააქვთ იარაღი სამხრეთიდანა და ოსმალეთ-სპარსეთის საზღვრისკენ.

პეტერბურგი, 8 ივნისი, ოფიციალური. ბრძანება უმართებულეს სენატისადმი: „ვსცანით რა საჭიროდ შორეულ აღმოსავლეთის მართვა-გამგეობის საქმე დღეისამიერ შეერთდეს სახელმწიფოს უმაღლეს მართვა-გამგეობის საქმეს, გაუქმებულ იქნას შორეულ აღმოსავლეთის საგანგებო კომიტეტი მისი კანცელარიით. კანცელარიაში მოსამსახურენი-კი დატოვებულ იქნან შტატს გარეშე; საწარმოო საქმეები და არხივი გადმოცემულ იქნას ჩვენს საკუთარს კანცელარიაში".

პეტერბურგი. „ივან"-ის სანახშირე მაღაროებში მომხდარ აფეთქების გამოსაკვლევად ფინანსთა სამინისტრომ გაგზავნა ინჟენერი კოცოვსკი და დაავალა მას გამოიკვლიოს საქმე და მოხსენება წარუდგინოს.

ბუდაპეშტი. პარლამენტში ახალ კაბინეტის შემოსვლას სტვენითა და სიცილით შეხვდა უმეტესობა. ფეიერვერის მინისტრ-პრეზიდენტათ დანიშვნის შესახებ მეფის რესკრიპტის წაკითხვის შემდეგ, ფეიერვერმა მეორე რესკრიპტის წაკითხვა მოინდომა. გაისმა საშინელი ხმაურობა. პრეზიდენტი არ ანებებს მეორე რესკრიპტის კითხვას პირველის დამტკიცებამდე პალატის მიერ. ფეიერვერი არ დამორჩილდა. პრეზიდენტმა რესკრიპტის წაკითხვის საქმის გადაწყვეტა პალატას მიანდო. პალატამ, ხმის უმეტესობით, უარ-ჰყო რესკრიპტის მიღება და ამბავის შემდეგ ფეიერვერმა უარი განაცხადა მინისტრ-პრეზიდენტობაზე და კაბინეტის წევრებთან ერთად გარედ გავიდა. პალატამ მიიღო კოშუტის წინადადება მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების შესახებ. სხდომა დაიხურა. (კორრ.—ბიურო).

კოვნო. 29 მაისს კოვარსკაში, ვილკომირის მაზრაში, მხეცურად მოჰკლეს ურიადნიკი მოტულევსკი. ამ მკვლელობას დამოკიდებულობა აქვს ბოქაულისა და საერობო უფროსის მოკვლის განზრახვასთან: ხსენებულ პირების მოკვლა უნდოდათ, როცა ისინი პოლიტიკურ დამნაშავე ძიძულას ატუსაღებდნენ.

მიტავა. ირკვევა, რომ ჟანდარმთა როტმისტრ ერჟემსკის უცაბედათ მოუკლავს თავი ტყვიით.

ორენბურგი. მუშების გაფიცვა გრძელდება. მოლაპარაკებას მშვიდობიანური ხასიათი აქვს; პოლიცია ესწრება.

მადრიდი. მეფემ კაბინეტის გამართვა მონტერ როსს მიანდო.

ვენა, 8 ივნისი. მოვიდნენ რუმინიის მეფე-დედოფალი.

სტოკჰოლმი, 8 ივნისი. მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტმა განაცხადა საბჭოში, შვეცია წინააღმდეგია ძალ-მომრეობისათ; მან თანხმობა განაცხადა ნორვეგიასთან მოლაპარაკებაზე, ვინაიდან სასურველია, რომ ორავე სახელმწიფოს შორის დაარსებულმა კონვენციამ უზრუნველ-ჰყოს ორივეს მშვიდობიანი საერთო ცხოვრებით. ამის შემდეგ მეფემ წარმოსთქვა: საბჭოთ მე მძიმე ნაბიჯს მადგმევინებს წინ. ჩემი სინდისი მეუბნება, რომ მთელი ჩემი დიდის ხნის მეფობა ორის მონათესავე ერის კეთილ-დღეობას ვანდევდი. ძლიერ სამძიმოა ჩემთვის ხელი შევუწყო კავშირის დარღვევას, რომელმაც მეტად ორავე სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა, მათის ბედნიერებისა და უშიშარ ყოფნის თავმდებს ვხედავდი; მაგრამ თუ, მიუხედავათ ამისა, მე თანახმა ვარ გადავდგა ეს ნაბიჯი წინ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თავი დავაღწიო დიდს უბედურებას; მეორე მხრივ მე მწამს, რომ თუ შვეციასა და ნორვეგიას შორის არ იქნება ურთიერთი თანხმობა, ეს შვეციისთვის არავითარი გამოსადეგი იქნება."

კილცი. ტყუილია ის ცნობა, ვითომც 450 მართლ-მადიდებელს კათოლიკობის მიღებაზე სურვილი განეცხადებინოს. მხოლოდ 70 უნიატმა განაცხადა კათოლიკობა მივიღეთ კიდეთ.

მაკარიევი, 8 ივნისი. გუშინ ბრანდტის ქარხანაში 400 მუშა გაიფიცა და მოითხოვეს ხელ-ფასის მომატება და სამუშაო დროს შემცირება.

სტოკჰოლმი, 8 ივნისი. მეფემ თავის სიტყვაში, სხვათა შორის, პროტესტი განაცხადა იმას წინააღმდეგ, ვითომც მას გამოეწვიოს ის ზომები, რაც ნორვეგიამ იხმარა და ვითომც მას კონსტიტუციის მუხლები დაერღვიოს. „შვეციისთვის უმნიშვნელო იქნებოდა უნია, თუ ნორვეგიას ძალით დავითანხმებდით მაზე. არა, დეე შვეციის ხალხმა იხელმძღვანელოს მშვიდობიანობითა და სიფრთხილით. უფალმა მიანიჭოს მას ძალა და ერთობა, რათა შეიცვას თავისს საკუთარ საზღვრებში ის, რასაც ის უნიის დარღვევით დაჰკარგავს". (შვეციის სააგენტო).

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

8 ივნისი

ტოკიო, 7 ივნისი. „დეილი-ტელეგრაფ"-ის კორესპონდენტის დეპეშა მანჯურიიდან იაპონიის არმიის მთავარ სადგომიდან: „3 ივნისს ყაზახები შეავიწროვეს იაპონელებმა იენნაპოის ახლოს და დიდი ზარალიც მიაყენეს მათ, მაგრამ მერმე ყაზახებს ძლიერი მაშველები მოუვიდათ ცეიკატიორთან. ფიქრობენ, რომ აუცილებელია ყაზახების ახალი თარეშით ხაილუნჩენისკენ რუსებს სამი დივიზია მაშველი ჯარი მოუვიდათ. ახლახან დაჭერილ ტყვე-ოფიცრის სიტყვით, რუსები იმ აზრისანი არიან, რომ იაპონელები უმეტესად მოწადინებულნი არიან დაიჭირონ ხარბინი და გზა მოკვეთონ ვლადივასტოკისკენ, რა მიზნითაც რუსების დიდძალი ჯარი ჩანჩუნთან არის დაბანაკებული. გირინი სუსტათაა დაცული. ლინევიჩის მთავარი სადგომი ჩანჩუნთანაა, მაგრამ ის ზოგჯერ მიდის ხოლმე ფინხუაშიც. ჯარებს ძლიერ უყვართ ლინევიჩი. მეომართ დაუპირუნდათ სიმამაცე. ჯარების დათვალიერების დროს ლინევიჩი ემუსაიფა სალდათებს და ხელს ართმევს უბრალო ჯარის კაცებსაც-კი. რუსებმა არ იციან, საიდან გამოილაშქრებს ოიამა.

ლონდონი. რუსეთს განზრახვა აქვს რკინის გზა გაიყვანოს მონგოლიაზე ჩანკიაკოუსკენ და ამრიგად დაასრულოს ლიანდაგი.—ერთს იაპონელ ვაჭარს კუნძულ კველპარტზე ხე-ტყისა და თევზის ჭერის კონცესია მისცეს, მეორე ვაჭარს-კი დაუთმეს (?) კუნძული სახალინი.

პეტერბურგი. ლინევიჩის მოხსენებები: 1905 წ. 6 ივნისის თარიღით: „დღეს დილის 4 საათიდან მტერმა გამოილაშქრა ფრონტის წინააღმდეგ, რკინის გზის დასავლეთით. იაპონიის ძლიერმა ქვეითა ჯარმა დაიჭირა სინლუნჩუანი. 4 ივნისს მტერმა მთელის ფრონტით დაიწია უკან სამხრეთისაკენ ლიაოიანჩუნპენის რაიონში მომქმედ ჩვენის რაზმის წინაშე".—7 ივნისის თარიღით: 1) როგორც 6 ივნისის მოხსენებიდან სჩანს, მტერს უკან სვლა დაუწყია 12 ს. მალმაკაიდან ჩანტუფუში მიმავალ გზის გასწვრივ. რკინის გზასთან ახლო მდებარე რაიონში იაპონელებმა შესწყვიტეს ლაშქრათ მისვლა, მოვიდნენ რა შაუნმიაოცზის სადგურამდე. ლიაოიანჩუნპენის რაიონში იმათ წინანდელ პოზიციებისაკენ დაიხიეს რკინის გზის აღმოსავლეთით. ღამის 3 ს. მტერმა გამოილაშქრა ბანლაშამინის გზისკენ. დილის 9 ს. მათ შეაჩერეს გამოლაშქრება, დღის 12 ს. კი მტერი უკან წავიდა. ღამის 3 ს. მტერმა ჩვენის მარცხენა ფრთის წინააღმდეგ გამოილაშქრა მანდარინის გზის რაიონში. დილის 9 ს. ჩვენმა წინა რაზმებმა უკან დაიხიეს ცოტათი. იაპონიის არტილერიამ სროლა აგვიტეხა და შეიქნა პირისპირი სროლა. 10 ს. ჩვენმა წინა რაზმებმა განაახლეს უკან სვლა. დღის 12 ს. იაპონელებმა დაიჭირეს ს. სიაოხოუში, დღის 2 ს. კი იაომალინი".—2) დღეს მთელს ფრონტზე უკან დაიხია მტერმა. ჩვენ წინინდელი პოზიციები დავიჭირეთ.

ვაშინგტონი, 9 ივნისი. დროებით ზავს აღარ ჩამოაგდებენ. პრეზიდენტი რუზველტი აღარ მუშაობს ამ საკითხზე.

ვარშავა, 5 ივნისი. სადამოს ჩენსტოხოვში ბომბი ესროლეს პოლიცმეისტერს და მძიმედ დასჭრეს იგი.

სიმფეროპოლი. საერობო საგანგებო კრებამ უარი უთხრა ქალებს პეტიციაზე, მათაც მიენიჭოს ხოლმე არჩევნების უფლებები.

პეტერბურგი. მინისტრთა კომიტეტმა შემდეგი შეღავათი დაადგინა პოლონელებისთვის: 1. ვარშავის სამოსწავლო ოლქის ყოველგვარ სასწავლებლებში კათოლიკებს სამშობლო ენაზე უნდა ასწავლიან საღმრთო სჯული. მასწავლებლად უნდა მოიწვიონ ამ სარწმუნოების სასულიერო პირთაგანი და თუ ასეთი არ მოიპოვება, მაშინ საერო მასწავლებლები, მაგრამ უსათუოდ კი ამ სარწმუნოებისანი; საღმრთო სჯულისა და პოლონურ ენის სწავლებისთვის უნდა გადაიდოს საკმაო რიცხვი გაკვეთილებისა; 2. დამოწმებულ იქნას, რომ პოლონურ ენის სწავლება პირველ დაწყებით სკოლებსა და აგრეთვე საშუალო სასწავლებლებშიაც პოლონურად უნდა სწარმოებდეს; 3. მიღებულ იქნას ზომები, რათა დაუყოვნებლივ გაუქმებულ იქნას განსაზღვრანი პოლონელებისთვის პოლონურ ენის კლასებს გარეშე ხმარებისა შესახებ; გაუქმებულ იქნას აგრეთვე განსაზღვრანი, რომელთა ძალით სასწავლებლები ვალდებულნი არიან ფიზიკო-მათემატიკურისა და ისტორიულ საგნების გარდა, ყველა საგნები რუსულად ასწავლონ; 4. მინისტრმა შემდეგი მოხსენება უნდა წარუდგინოს სახელმწიფო საბჭოს: ა. ერთ კლასიან პირველ-დაწყებითსა და დანარჩენ პირველ-დაწყებით სკოლების პირველ კლასებში არითმეტიკის სწავლების დროს იხმარებოდნენ აგრეთვე, რუსულ ენის გარდა, პოლონურითაც; ბ. ნება მიეცეთ პოლონეთის კერძო სასწავლებლებს, რომელთაც არა აქვთ მთავრობის სასწავლებლების უფლებები, პოლონურ ენაზე ასწავლონ ყველა საგნები, გარდა რუსული ენისა, ისტორიისა და გეოგრაფიისა; გ. დაარსებულ იქნას ვარშავის უნივერსიტეტში პოლონურ ენისა და სიტყვიერების პროფესსორა პოლონურ ენაზე სწავლების უფლებით; 5. განმარტებულ იქნას, რომ საქმის წარმოების დროს საგმინო სამმართველოებსა და სოფლის ყრილობების დროს, კათოლიკე მრევლთათვის რუსულ ენაზე უნდა ადგენდნენ ყველა წიგნებსა და დოკუმენტებს, რომელნიც სამსახურის პირებმა უნდა განიხილონ ხოლმე; რუსულადვე უნდა ელაპარაკონ თანამდებობის პირთ. გმინებს-კი ადგილობრივ ენაზე შეუძლიანთ ლაპარაკი თავის უფროსებთან; 6. ნება მიეცეთ იმ პირთ, რომელნიც საგლეხო საქმეების კომისსარებისა და საგუბერნიო საგლეხო საკრებულოთა გადაწყვეტილებების პირებს იღებენ ხოლმე, მოითხოვონ რუსულ ტექსტთან ერთად ადგილობრივ ენაზე დაბეჭდილი ტექსტიც; 7. შინაგან საქმეთა მინისტრს მიენდოს იზრუნოს, რათა პოლონეთის გუბერნიებში საგლეხო საქმეების შესახებს თანამდებობებზე დაინიშნონ როგორც რუსულის, აგრეთვე პოლონურ ენების მცოდნე პირნი, იმ ანგარიშით, რომ 1910 წლისთვის ყველა ამისთანა თანამდებობანი ზევით მოხსენებულ პირებისთანა კაცთ ეჭიროსთ; 8. კერძო საზოგადოებების მიერ საქმის წარმოების შესახებ: ა. კერძო საზოგადოებები და მათი რწმუნებულნი რუსულ ენაზე უნდა სწერდნენ მთავრობის წარმომადგენელთ; ბ. კერძო საზოგადოებებმა რუსულ ენაზე უნდა უპასუხონ რუსულადვე დაწერილ ქაღალდებზე კერძოვე საზოგადოებებს; გ. კერძო საზოგადოებათა შინაურ საქმეების წარმოების დროს შეიძლება, რუსულ ენასთან ერთად, პოლონურიც იხმარონ; დ. კერძო საზოგადოებებს შეუძლიათ პოლონურ ენაზე იქონიონ მიწერ-მოწერა ერთმანეთ შორის; 9. იმ ადგილებში, სადაც რუსები და ლიტვინები სახლობენ ლიუბლინისა, სედლეცისა, ლომჟისა და სუვალკის გუბერნიების აღმოსავლეთის ნაწილებში საქმე რუსულ ენაზე უნდა სწარმოებდეს; 10. გაუქმებულ იქმნას მინისტრთა კომიტეტის დებულება პოლონეთის საერობო საკრედიტო საზოგადოების მიერ რუსულ ენაზე მიწერ-მოწერის შესახებ; 11. პოლონელების გადარიცხვა პოლონეთის 9 გუბერნიიდან ჩრდილოეთ და სამხრეთ-დასავლეთისა და ბესარაბიის გუბერნიებში შეიძლება ყოველ შემთხვევაში სათანადო გენერალ-გუბერნატორების ნებართვით; 12. მიენდოს ვარშავის გენერალ-გუბერნატორს პოლონეთში საერობო დაწესებულებათა შემოღების პროექტის გადახედვის დროს იხელმძღვანელოს ხოლმე 12 დეკემბრის უმაღლესს ბრძანების მე-2-ე პუნქტით; 13. მიენდოს ვარშავის გენ.-გუბერნატორს შეადგინოს მოსაზრებანი ვისლის პირა მხარეში საქალაქო დებულების შემოღების შესახებ; 14. მიენდოს მიწათ-მოქმედების მინისტრს შეიმუშავოს წესები სახაზინო მიწების პოლონეთის გლეხებისათვის მიყიდვის შესახებ; 15. იუსტიციის მინისტრმა წარადგინოს სახელმწიფო საბჭოში თავის მოსაზრებანი ა. პოლონეთში საპატიო მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობის დაარსებისა და ბ. ვარშავის სასამართლო პალატაში ნაფიც-ვექილთა საბჭოს გახსნის შესახებ. მინისტრთა კომიტეტის ეს დებულებანი უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ზავი. ვენურ „ნ. ფრ. პრესსე"-ს კორესპონდენტს უსაუბრნია პარიზში ერთ მაღალხარისხოვან დიპლომატთან, რომელსაც უთქვამს, რომ იაპონიის მოთხოვნათაგან ორი დამამცირებელია რუსეთის თავმოყვარეობისათვის. ერთია იმის მოთხოვნა, რომ რუსეთმა შორე აღმოსავლეთში სამხედრო ფლოტი არ იყოლიოს, მეორე—ვლადივასტოკის სიმაგრეების დანგრევა. რაც შეეხება კონტრიბუციასა და კუნძულ სახალინის დათმობას, რუსეთი მაინცა და მაინც წინააღმდეგი არ იქნება. სამხედრო მდგომარეობა ისეთია, რომ რუსეთს შეეძლო ომის განგრძობა, რომ რუსეთის შინაური მდგომარეობა არ იყოს ასე საშიში და საშუალება იყოს. მაგრამ თუ შემდეგშიაც დამარცხდა რუსის ჯარი, კიდევ უფრო გართულდება შინაური მდგომარეობა და ამიტომაც სულ ფუჭია დიპლომატიური თეორიები—რუსეთი თავის დღეში არ დასთანხმდება იაპონიის მოთხოვნებსო.

მეორე გაზეთის თანამშრომელს ლონდონელ დიპლომატთან ულაპარაკნია. „სულ ის მესმისო,—უთქვამს ამ დიპლომატს,—ვითომც იაპონია თავის დღეში ვერ შესძლებს აიძულოს რუსეთი და ზავი მიაღებინოსო. მაგრამ ვერ გამიგია, რა საბუთით ამბობენ ამას. ციმბირის რკინის გზა მარტო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ კი არ მიდის, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენაც მიიმართება და მანჯურიის საზღვრიდან ისევე კარგად შეიძლება ჯარების გაგზავნა ციმბირში, როგორც ციმბირიდან მანჯურიის საზღვრებისაკენ. რაც შეეხება ფლოტს, ვფიქრობ, რომ ადმირალი ტოგო ისევე კარგად მიიყვანს თავის ფლოტს ბალტიის ზღვაში, როგორც რუსის ადმირალმა მიიყვანა თავისი ჯავშნიანი გემები იაპონიის წყლებში. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ როჟესტვენსკის გამარჯვებას—შეჩვეული მტრის ფლოტი ელოდა, ტოგოს კი ვერავინ შეხვდება ბალტიის ზღვაშიო".

გერმანელი სპეციალისტი სწერს, რომ იაპონიის ფლოტს შეუძლია ბალტიის ზღვაში მოსვლა, მაგრამ დიდი არაფერი გამოვა აქედან, რადგან აქ ბაზა არ ექნებაო. სხვების აზრით კი კრონშტადტისა და პეტერბურგის ბლოკადასაც დიდი მნიშვნელობა ექნება და ამიტომ არც ისეთი უაზრობა იქნება ტოგოს ბალტიის ზღვაში მოსვლა, როგორც ზოგიერთს ჰგონიაო.

გენერალ ლინევიჩის დეპეშაზე, რომელიც გუშინ გვქონდა მოყვანილი, ბევრსა სწერენ და ლაპარაკობენ. სხვათა შორის, გერმანული „ფოსიშე ცაიტუნგი სწერს, რომ ასეთი დაჟინებული ლაპარაკი რუსეთის ჯარის ძლიერებაზე მანჯურიაში და ამ ჯარის მომავალ გამარჯვებაზე, უთუოდ გამოიწვევს იაპონელებისაგან შემდეგ პასუხს: „თუ რუსები და ამათი პარიზელი მეგობრები ფიქრობენ, რომ რუსეთის ჯარი არ არის საკმაოდ დამარცხებული, დიდის სიამოვნებით დავაკმაყოფილებთ და მოვსპობთ მათ უკანასკნელ ჯარს, რომლითაც ასე მოაქვთ თავი"-ო.

ფრანგული „მატენ"-ი ამბობს ლინევიჩის დეპეშის გამო: „რუსის გენერლების მანიფესტს თავისი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს მნიშვნელობა უფრო დამამშვიდებელია, ვიდრე შემაშფოთებელი. რაკი სამხედრო პირებმა დიპლომატიას მოჰკიდეს ხელი, დიპლომატებს თავის მხრივ შეუძლიათ სამხედრო საქმეებს მოჰკიდონ ხელი; ეს ერთი. მეორეც, როცა გენერლები ლაპარაკობენ და სწერენ ან სამხედრო თათბირებს ჰმართავენ, სადაც ზავის ჩამოგდებაზე აქვთ ლაპარაკი, მაშინ აღარ ომობენ და ეს კი დიდი შემსუბუქება მთელის კაცობრიობისათვისო".

რუსეთისა და იაპონიის ფინანსები. „სინ ოტეჩესტვა"-ში ვკითხულობთ: „ჩვენი ბიუროკრატია ზიზღით უცქეროდა იაპონიის ჯარსა და ფლოტს, მაგრამ დღეს უკვე მიხვდა თავის შეცდომას. მით უფრო საკვირველია, რომ ფინანსთა სამინისტროს ოფი-

ციალური ორგანო („ვესტნიკ ფინანსოვ“) შავის ფერადებით გვიხატავს იაპონიის ფინანსიურსა და ეკონომიურ მდგომარეობას; იგი ამტკიცებს, რომ თუ კიდევ ერთი წელიწადი გაგრძელდა ომი, იაპონია იძულებული იქნება ქაღალდის ფული გამოუშვას და გამოსცადოს ფინანსიურ გაკოტრების ყველა საშინელებანიო.

ოფიციალურ გაზეთს ყველაზე უფრო აწუხებს ბედი იაპონიის საზღვარგარეთელ კრედიტორებისა, რომელთაც ფული ასესხეს იაპონიას იმ გიჟურ იმედით, რომ იაპონია კონტრიბუციიდან გადაიხდის ვალს. რასაკვირველია, ეს იმედები არ გამართლდება და „ძალიან ცუდი საქმე მოუვათ ამ კრედიტორებს, რადგან სახელმწიფო გაკოტრებაა მოსალოდნელი და იაპონია შესწყვეტს ვალის გადახდას“.

იაპონიის გაკოტრების წინასწარმეტყველება იმდენად საინტერესო და მოულოდნელია, რომ ბუნებრივად გებადება კითხვა, რა საბუთები აქვს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ორგანოს.

იაპონიის მთავრობის მიერ შეკრებილ ცნობებით იაპონიის ყოველწლიურ ნაწარმოების ფასი დაახლოვებით 1049 მილიონი იენაა (იენა უდრის 1 მ. 17 კ.); მცხოვრებთა რიცხვი კი 45 მილიონია; მაშასადამე თითეულ მცხოვრებზე მოდის 31,31 იენა; ამას რომ გადასახადები გამოვაკლოთ, დარჩება 21,76 იენა ან და 1 მ. 80 კაპ. თვეში სულზე... აი ასეთ მცირე თანხით უნდა იცხოვროს იაპონელმა, ე. ი. თავი გამოიკვებოს, ტანთ ჩაიცვას და დაიკმაყოფილოს თავისი ინტელექტუალური მოთხოვნილებანი! და რა საკვირველია, რომ უფრო ნაკლებად შეძლებული ნაწილი მცხოვრებლებისა სულ მუდამ დამშეულია.

თუ ყველა ეს მართალია, მაინც ურიგობაა დაცინვა „იაპონურ სიღარიბისა“... ჩვენ (რუსებს) არა გვაქვს ნამდვილი ცნობები ხალხის შემოსავლისა, მაგრამ ჩვეულებრივ ამ შემოსავალს ოთხ მილიარდამდე ანგარიშობენ; მაშასადამე 140 მილიონიან სახელმწიფოში სულზე მოდის არა უმეტეს 28 მანეთისა წელიწადში. თუ ორ მილიარდ სახელმწიფო ხარჯებს გამოვაკლებთ, წმინდა წლიური შემოსავალი სულზე უნდა იყოს 14 მანეთი ან თვეში 1 მ. 17 კ.

უნდა შევნიშნოთ კიდევ, რომ „ვესტნიკ ფინანსოვ“-ი იენას ერთ მანეთად ანგარიშობს, მაშინ როდესაც იენა უდრის 1 მ. და 17 კაპ. თუ ამის მიხედვით გავასწორებთ ზემოდ მოყვანილ ანგარიშს, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ყოველ იაპონელის წლიური შემოსავალი 25 მ. 44 კ. იქნება, თვეში—2 მ. 12 კ. ესე იგი ორჯელ მეტი, ვიდრე თვითეულ რუსს შემოდის. რაც შეეხება „უჭმელობასა“ და „განუწყვეტელ შიმშილს“, ამ მხრივ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ, რუსები არ ჩამოვრჩენივართ იაპონელებს.

იაპონელს შემოდის წელიწადში 31,31 იენა და იხდის სულ 9,52 იენას, რაც შემოსავლის 29 პროცენტს შეადგენს; რუსი კი იხდის 50 პროცენტს, ე. ი. შემოსავლის ნახევარს.

1904 წლის დასაწყისში იაპონიას ჰქონდა ვალი 661 მილიონი მანეთი, ე. ი. ერთ კაცზე მოდის 14 მანეთზე ცოტა მეტი; ამავე დროს რუსეთს ჰქონდა 6636 მილიონი ვალი, ე. ი. ერთ კაცზე 47 მანეთზე მეტი.

მოყვანილი ციფრები, გვგონია, მკვეთრმეტყველურად გვეუბნება, რომ იაპონიის ფინანსიური მდგომარეობა არ არის ნაკლებ მკვიდრი, ვიდრე რუსეთისა; ამიტომ ვერ ვუწინასწარმეტყველებთ გაკოტრებას იაპონიის სახელმწიფო ფინანსებს, და მერე კიდევ ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ორგანოში“...

რა დაჯდა ომი? დაწვრილებით გამოანგარიშება ომის ხარჯისა, რასაკვირველია, შეუძლებელია. სამხედრო ხარჯი—საიდუმლოებაა; ეს პირველი, მეორე—ჩვენ სრულიად არ ვიცით, რა დარჩა მთავრობას გადასახდელი ვალი. გადაუხდელი ვალი კი, უეჭველია, ცოტა არ იქნება. სტატიაში, რომელიც იყო დაბეჭდილი „მარინერუნდშაუ“-ში, წარსულ წლის ნოემბერს, გერმანელმა ფინანსისტმა გელფერიხმა გამოიანგარიშა თუ რა ჯდება ერთ თვეს ომი, და აღმოჩნდა, რომ ომი ჯდება 150 მილ. ფრანკად. ამ ცოტა ხანში ქერმენი, რომელიც დაახლოვებით იცნობს რუსეთის ფინანსებს, ანგარიშობდა ერთი თვის ომის ხარჯს 200 მილ. ფრ. მაგრამ სინამდვილე აღემატა ამ რიცხვსაც. 16 თვის განმავლობაში რუსეთმა 6 ჯერ ისესხა ფული: 3-ჯერ შიგ რუსეთში—450 მილიონი მანეთი (1904 წ.—250 მილ. მან. და 1905 წ.—200 მილ. მან.) 3-ჯერ კი რუსეთს გარედ: პარიზში 1904 წ.—300 მილ. მან. (800 მილ. ფრანკი), ბერლინში—250 მილ. მან. და უკანასკნელი მოკლევადიანი—200 მილ. მანეთი.

კურსედ დაკარგვის, საკომისსიო გადასახადის და სხვათა გამო რუსეთმა მიიღო დასახელებულ ჯამზედ უფრო ნაკლები, სახელმწიფო ვალს კი მიემატა ეს ჯამი; სარგებელსაც ვაძლევთ არა ნამდვილად მიღებულ ფულისას (საშუალოდ ემისსიონური კურსი უნდა ჩავთვალოთ 96—97 ასში), არამედ ნომინალურად. მაშასადამე რუსეთმა ისესხა ომისთვის 1200 მილ. მ. ამას გარდა 1904 წ. ბიუჯეტს მოაკლეს 132 მილ. მ., საიდანაც 114 მილ. მან. დაიხარჯა ომის საჭიროებაზედ; თავისუფალი ნაღდი ფული სახელმწიფო ხაზინისა შეცოტავდა 132 მილ. მანეთით. სახელმწიფო ბანკის უკანასკნელ ბალანსის მიხედვით ოქროს ნაღდმა ფულმა 844 მილ. მანეთიდან 1,028 მილ. მანეთამდე, იმავე დროს საკრედიტო ბილეთების რიცხვმა აიწია 644 მილ. 915 მილიონამდე. გამოდის, რომ უსარგებლო სახელმწიფო ვალს, რომელსაც წარმოადგენენ საკრედიტო ბილეთები, მოემატა 89 მილ. მან. ჯერ ისევ ნოემბერში წარსულ წელს გელფერიხმა გამოიანგარიშა, რომ რუსეთის ფულს, რომელიც ებარა საზღვარ-გარეთის ბანკებს, მოაკლდა 60 მილ. მაშ აქამდის ომის ხარჯმა, რომელზედაც ცნობები გვაქვს, მიაღწია 1,600 მილ. მან. ე. ი. 100 მილ. მან. თვეში, რაიცა უდრის 264 მილ. ფრანკს. სრულიად ყურადღებას არ ვაქცევთ იმას, თუ რამდენი დაკარგა რუსეთმა უმთავრესი ჩვენი ქაღალდების—4% რენტის, კურსზედ, რომელმაც 97-დან (1 თებერვალი ახალი სტ. 1904 წ.) დაიწია 90-მდის. გინდაც რომ მივიღოთ მხედველობაში რიცხვი 100 მილ. მან. თვეში. (ეჭვი არ არის, იგი ძალიან შორსაა სინამდვილესთან), მაინც წელიწადი ომისა უღირს გაღატაკებულ რუსეთს 1200 მილ. მან. ომის შედეგი-კი საკმაოდ გამოირკვა, რაც უნდა ილაპარაკონ და სწერონ პუბლიცისტებმა. თუ მიუმატებთ ფლოტის, რკინის გზის, არტურის და სხვ. ღირებულებას, მაშინ მივიღებთ უზარმაზარ ჯამს—3 მილიარდზედ მეტს, ესე იგი 8 მილიარდ ფრანკს. დროა შევდგეთ. ხომ არ მივიყვანთ სამშობლოს გაკოტრებამდის იმისი შედეგებით.

სათავად-აზნაურო სკოლა და მისი სასურველი ცვლილებანი

წერილი მეოთხე

ბიუროკრატიული წესწყობილება მძლავრია იმითი, რომ მისი მუშაობა ბნელით არის მოცული. მას არ უყვარს სინათლე, საჯაროდ გამოცხადება თავის აზრისა და ფიქრისა. ბიუროკრატია უცქერის ცხოვრებას თავის კაბინეტიდან, რომლის ფანჯრები და კარები ჩაკეტილია ცხოვრებისაგან: მკრთალი სხივი ოდნავ თუ ანათებს იმ სამუშაო ოთახს, სადაც ხშირად სწყდება სიკვდილ-სიცოცხლის საქმე მილიონ ხალხისა. თუ სხივი როგორმე გაძლიერდა და თვალებსა სჭრის ბიუროკრატს, ის იმას-კი არა სცდილობს, რომ თვალი შეაჩვიოს, არამედ ბრძანებას აძლევს, რომ კარებები და ფანჯრები მთლად დახშონ და არამკითხე სხივი ჩააქრონ, მაგრამ...

„Свѣтъ во тьмѣ свѣтитъ“, შეუძლებელია სიბნელე უსინათლოდ. სინათლე მძლავრია სიბნელეზედ, და ნუ ვინ ფიქრობს, რომ იგი ოდესმე დამარცხდეს. არის დრო, როდესაც სინათლის სხივები ოდნავ ბჟუტავენ, როცა უკუნით არის მოცული არე-მარე, მაგრამ სხივები შეერთდებიან, გააპობენ სიბნელეს, დააბრმავებენ სიბნელეში სიარულის მოსიყვარულეთ და განუბრწყინებენ გზას იმათ, ვისაც ლამპარი ხელში უჭირავს.

რუსეთს დაუდგა ასეთი დრო. ლამპარმა გაანათა და შეუშფოთა ნებიერი ცხოვრება სიბნელის თაყვანისმცემელთ. ნუ თუ სათავად-აზნაურო სკოლა მოისურვებს სიბნელეში ყოფნას და აღტაცებით არ მიეგებება ძახილს: „ვინ ხართ წმინდანნი, გადაშალეთ გული და სული, რათა ვიცოდეთ ვინ არის მტერი და ვინ არის მოყვარე“. დიახ, თუ სათავად-აზნაურო სკოლაში არ მოიძებნებიან წმინდანნი, მაშინ სანატრელ ხმას არ შეისმენენ და დაყრუვდებიან, რათა სიბნელეში განაგრძონ თავისი ბნელი საქმე. მაგრამ წმინდანნი გამოჩნდნენ სკოლაში. მათ გადაუშალეს საზოგადოებას თავისი გული და სული და უთხრეს: „ვაღიარებთ, რომ ჩვენ ხელში სკოლა თავის მაღალ დანიშნულებას არ ასრულებდა, დაღუპვის გზაზედ იდგა, მაგრამ ნუ დაგვდებთ ბრალს მარტო ჩვენ. მიუდგომლად გაგვიმართლეთ და, თუ დამნაშავენი ვიყოთ, დაგვსაჯეთ და გაგვაძევეთ“. შერცხვენილ იყვეს, ვინც იფიქროს, რომ ეს ღაღადი—ღაღადია ფარისევლისა!

რა მნიშვნელობა აქვს სინათლეს, ჯარობას? (гласность). ადამიანი განცალკევებული ცხოველი როდია. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული თავის წრესთან, საზოგადოებასთან, სახელმწიფოსთან და, ბოლოს, მთელ ქვეყნიერებასთან. არც მისი აზრი, არც მისი გრძნობა, არც მისი ნება არ არის სრულიად თავისუფალი: ყველა ეს შეზღუდულია იმითი, რომ გარდა ერთის ადამიანისა სხვებიც არიან, რომელთაც მონაწილეობა უდევთ თვითეულ ადამიანის ცხოვრებაში. ეს დამოკიდებულება ერთის ადამიანისა მეორესაგან არის მიზეზი იმისა, რომ საზოგადოების ყველა წევრს სახეში აქვს საზოგადოების მსჯავრი, როდესაც ფიქრობს, გრძნობს და მოქმედებს. იძულებულია ადამიანმა მხედველობაში მიიღოს საზოგადოების მსჯავრი, რადგანაც იგი მძლავრია და უქადის ურჩს გაძევებას. მარტო გმირს, არა ჩვეულებრივის ძალით აღჭურვილს ადამიანს, შეუძლიან ომი გამოუცხადოს საზოგადოების მსჯავრს და დაიცვას თავის პიროვნების თავისუფლება და დამოუკიდებლობა... მაგრამ ომი ყოველთვის საუბედუროდ თავდება ხოლმე გმირისთვის: იგი მარცხდება, მხოლოდ ეს დამარცხება გამარჯვებაა იმ აზრებისა, გრძნობებისა და მოქმედებისა, რომლებისთვისაც იბრძოდა გმირი. გადის დრო, საზოგადოების მსჯავრი იცვლება და დამარცხებული გმირი მკვდრეთით სდგება და საუკუნო ძეგლს იდგამს სწორედ იმათგან, ვინც წინად ებრძოდა, საზოგადოების წევრთაგან. ჩვენთვის გმირების ბედს დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც ჩვენ, უმეტესი ნაწილი საშუალო ადამიანები ვართ, პატარა აზრებით, გრძნობებით და საქმეებით. ჩვენ არ შეგვიძლიან ზურგი შევუშვიროთ საზოგადოების მსჯავრს და ყოველთვის ყურს ვუგდებთ და მის ძალას ვემორჩილებით არა მარტო მნიშვნელოვან საქმეში, არამედ უბრალოშიაც. განა გახამებულ პერანგს რო ვატარებთ, საზოგადოების მსჯავრს არ ვემორჩილებით?

მაშ, ცხადია, ადამიანს შიში აქვს, მორიდება საზოგადო მსჯავრისა. ნათქვამია „ქურდს ბნელი ღამე უყვარსო“, არა იმიტომ რომ ბნელ ღამეში უფრო კარგად გააწყობს თავის საქმეს, არამედ იმიტომაც, რომ ქურდს რცხვენია ქურდობისა, რომელსაც საზოგადოება ჰგმობს. ერთმა ბრძენმა სოფისტს, რომელიც ამტკიცებდა, რომ ზნეობა სუბიექტიური მცნება არისო, წინადადება მისცა, გამოსულიყო და საჯაროდ ეთქვა, რაც ცუდი რამ ჩაედინა. ბრძენს ამითი უნდა დაემტკიცებინა, რომ ზნეობა დამოკიდებულია საზოგადოებრივ და არა პირად ცხოვრებაზე. საჯაროდ პირბადის ახდა საშიშია ყველასთვის და უმეტეს იმათთვის, ვისაც საზოგადოების უფლება შეულახავს, ვისაც თვისი სინიდისისათვის ჩირქი წაუცხია. ეჭვი არ არის, რომ ადამიანის ზნეობა ფაქიზდება მაშინ, როდესაც საზოგადოებას თვალყური უჭირავს კაცის აზროვნობა-მოქმედებაზე, როდესაც შეუძლიან მსჯავრი დასდოს და დააფასოს ღვაწლის დაგვარად. სკოლა—საზოგადოების შვილია და, რასაკვირველია, რომ საზოგადოებას ყოველი უფლება აქვს არაფერი არ იყოს მისგან დაფარული. მაგრამ საკითხი ის არის, როგორ განახორციელოს ფაქტიური ყურის გდება, კონტროლი? საზოგადოება ხომ in corpore არა ტრიალებს სკოლის საქმეში? ორი საშუალება აქვს საზოგადოებას: იყოლიოს ზედამხედველი კომიტეტი რაოდენიმე პირისგან და დაავალოს სკოლის გამგეთ, ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენელთ ნება მისცენ დაესწრონ პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე. პირველი საშუალება საზოგადოებას უზრუნველ ჰყოფს იმ მხრივ, რომ ყოველთვის შეეძლება იცოდეს სკოლის საქმეების ვითარება და მოსთხოვოს სკოლის გამგეთ თავიანთ მოქმედების ანგარიში. მეორე საშუალება კი იმ მხრივ, რომ არ ჩაუგდებს სკოლას ხელში მასწავლებლების პატარა ჯგუფს, არამედ გადასცემს საზოგადოების ყოველ წევრს, ვისაც აინტერესებს სკოლის საქმე, და ამით აიძულებს პედაგოგიურ საბჭოს იყოს წინდახედული და საზოგადოების ხმას ყური დაუგდოს. მაშინ სკოლაც მოიგებს, მასწავლებლებიც და საზოგადოებაც. სკოლა არ იქნება დაშორებული საზოგადოებას, როგორც ეხლა, რამაც დიდი ზიანი მისცა სწავლა-აღზრდის საქმეს. **შ. ჩიტაძე**

ახალი ამბავი

✦ ამას წინად, როგორც ვწერდით, ტფილისის **ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის მოხელე-მოსამსახურეებმა** პეტიცია გაგზავნეს პეტერბურგში და ითხოვეს თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესება. მოხელეებმა უკვე მიიღეს პასუხი. მთავრობა ატყობინებს, რომ პეტიციის საფუძვლად სრულებით მოსატანი არ არის 18 თებერვალს უმაღლესი ბრძანება და თუ ასეთ პეტიციით კიდევ მიმართეთ მთავრობას, პასუხის გებაში იქნებით მიცემულიო.

✦ როგორც ვწერდით, საქმე **სამღვდელოების** ინციდენტის შესახებ უკვე წარდგინა კავკასიის ნამესტნიკს. ნამესტნიკმა 8 ივნისს ამ საქმის გამო საქართველოს ექსარხოსი მიიწვია.

✦ აღმოსავლეთ საქართველოს ბლაღოჩინმა მღვდლებმა, როგორც ქალაქისა, ისე სოფლებისამ, **31 მაისს მომხდარ ინციდენტის** გამო სამსახურს თავი დაანებეს. როგორც „ივერია“ გადმოგვცემს, ამოდენა ბლაღოჩინებში გამოერჩია მხოლოდ ბლაღოჩინი მ. მახათაძე, რომელსაც ექსარხოსისთვის უთქვამს, მე თანამდებობას თავს არ ვანებებო.

✦ **ქართლ-კახეთის სამღვდელოების კომისიამ**, კრების დადგენილების თანახმად, გუშინ-წინ დიდი დეპეშა გაუგზავნა პეტერბურგის მიტროპოლიტს და აცნობა 31 მაისის ამბავი. კომისიამ აცნობა ისიც, რომ ბლაღოჩინებმა თანამდებობას თავი გაანებესო.

✦ **31 მაისს მომხდარ ინცინდენტისა გამო** ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობის დაწესებულებათა მოხელე-მოსამსახურეებმა ხელმოწერილი ადრესი წარუდგინეს ქართლ-კახეთის სამღვდელოების წარმომადგენელთ.

✦ ბათუმში, როგორც უკვე ვწერდით, **თითქმის ყველა ქარხანა დაიკეტა** და დიდძალი მუშა უსაქმოდ დარჩა. ადგილობრივ გაზეთის სიტყვით, სამი ათას მუშამდე წასულა სოფლებში.

✦ დანამდვილებით გავიგეთ, რომ **ბაქოს გუბერნატორად**, მოკლულ თავ. ნაკაშიძის ნაცვლად, დაინიშნა ამ ჟამად ერევანში მყოფი გენერალი ალიხანოვ-ავარსკი.

✦ **ბათუმში**, 5 ივნისს, როგორც ადგილობრივი გაზეთი გადმოგვცემს, სახალხო სეირნობა ყოფილა. ვიღაც კაცი მისულა მემუსიკე სალდათებთან, მოუთხოვნია მუსიკის შეჩერება და უთქვამს: იმის შემდეგ, რაც შორეულ აღმოსავლეთში, პეტერბურგს, კიშინევს, ბაქოს, ერევანს და სხვაგან მოხდა, მხიარულების დრო არ არისო. ლაპარაკში ჩარეულა ყაზახ-რუსების აფიცერი და იმის წყალობით მემუსიკეთ განუგრძვიათ დაკვრა. მაშინ ხალხში უკმაყოფილება გაისმა თურმე. ამტყდარა სროლა. ხალხი ისე შეშინებულა, რომ ქალები და კაცები ბაღის მოაჯირზე ხტებოდნენ. მალე

ფელეტონი

ეკლესიის თავისუფლება ძველ საქართველოში

> „საერო მთავრობას, როგორიც გინდა იყოს იგი—ქრისტიანული, გინდ წარმართული, არ შეუძლიან, უფლება არა აქვს საეკლესიო კანონი გამოსცეს ანუ საეკლესიო რამ განაკარგულოს“.
>
> ი. ბერდნიკოვი.

313 წელი ფრიად შესანიშნავი მომენტია ქრისტიანობის ცხოვრებაში. ამ წლის იანვარში პირველად აღსარებულ იქმნა სახელმწიფოსაგან ქრისტიანთა სარწმუნოებისა და ღვთის-მსახურების სრული თავისუფლება. [1]) რომის იმპერატორმა კონსტანტინემ და მისმა თანა-მმართველმა ლიკინიმ, ქალაქ მედიოლანში, საერთო თანხმობით გამოსცეს ბრძანება (ედიქტი), რომლის ძალითაც რომის ყველა ქვეშევრდომთ მიენიჭათ სრული თავისუფლება—ის სარწმუნოება მიეღოთ, „ვისაც რომელი სურდა“ „Liberam potestatem sequendi religionem, quam quqisue voluisett“) გავიდა ხუთი წელი და ქრისტიანობა ნება-დართულ სარწმუნოებად გამოაცხადეს ჩვენს მეზობლად მდებარე სომხეთშიაც; თრდატ მე-III-ის მეფობაში, 318 წლის მახლობლად. [2]) ხოლო კიდევ ხუთისა თუ რვა წლის შემდეგ, რომისა და სომხეთის მაგალითს წაჰბაძა ჩვენმა მეფე—მირიანმაც. 323—326 წლის განმავლობაში მეფის წინადადებით და წმ. ნინოს ქადაგებით ქართლის ერთი ნაწილი მოიქცა და მოინათლა, რის შემდეგაც წმ. ნინო და სამღვდელოების რამდენიმე წევრი მთიულებისა და კახელებისაკენ გაემგზავრნენ საქადაგებლად. აქ პირველად შეიტანეს ქრისტიანობის თავისუფალი პრინციპი და ძველი საერო მთავრობას წარმართული შეხედულება სარწმუნოების გავრცელების შესახებ.

როგორც ქართული წყაროები გადმოგვცემს, ნინოსა და სამღვდელოებას მთიულეთისაკენ თან გაუყოლეს ერთი ერისთავი და მცირეოდენი ამალა, ალბად, მთიულებისაგან დასაცველად. მაგრამ ერისთავი ამ მცირე რაზმს არ დასჯერდა და მოინდომა, ზოგიერთი მთიულები ძალით მოექცია ქრისტიანობაზე. ამავე აზრისა იყო მირიან-მეფეც. სახელდობრ, მთიულეთში წასვლამდე, მან წმ. ნინოს წინადადება მისცა: „მნებავს, რათა იძულებით, მახვილითა მოვაქციენეთ მთეულნი და სიძე ჩემი ფეროზი“. მაგრამ ამ განზრახვას წინააღუდგა წმ. ნინო და მოახსენა: „არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახვილისა აღება“, არამედ „სახარებითა და პატიოსნითა ჯვრითა ვუჩვენოთ გზა ჭეშმარიტი, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ, და მადლმან ღვთისამან განანათლოს ბნელი იგი გულთა მათთაო“. [3])

ასე დაიწყო ქრისტიანობის გავრცელება ჩვენს სამშობლოში მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში. მაგრამ, როგორც ჩვენი საისტორიო მასალების საფუძვლიანი შესწავლა გვიჩვენებს, სახელმწიფოებრივს ძალდატანებას ქრისტიანობის გავრცელებაში ამას შემდეგ ადგილი აღარ ჰქონია. ამას არც პოლიტიკური გარემოებანი უწყობდნენ ხელს, რადგან 368 წლიდან მოყოლებული [4]) აღმოსავლეთის საქართველო დიდის-ხნობით (თითქმის 625 წლამდე) ცეცხლის-თაყვანისმცემელ სპარსეთის ხელში გადავიდა და ქართველ მეფეებს თითქმის სრულიად მოესპოთ ღონისძიება ქრისტიანობის გავრცელებისათვის თამამად ხელი შეეწყოთ. მთელს ამ ხნის განმავლობაში ქრისტიანობა ვრცელდებოდა და მყარდებოდა ქართველთა შორის მხოლოდ და მარტო სამღვდელოების ქადაგებით, ქვეშევრდომთა სურვილის თანახმად და ძალდაუტანებლად, ზოგჯერ სპარსეთის მეფეთა სასტიკ განკარგულების წინააღმდეგაც [5]).

სპარსეთის ბატონობას მოჰყვა არაბების შემოსევა (მე-VII—X საუკუნეში), არაბებისას—თურქებისა (მე-XI საუკუნეში),—და ამ ვაი-ვაგლახში კიდევაც მოაწია მე-XII საუკუნემ, რომელიც საქართველოში სამხედრო-პოლიტიკურ ძალთა და კერძოთ მეფობის უმწვერვალესად განვითარების ხანას წარმოადგენს. როგორც ვიცით, არც წინეთ და არც შემდეგ არასოდეს მეფის ძლიერებას საქართველოში ამ ხარისხამდე არ მიუღწევია. ამასთანავე წინა საუკუნის მეორე ნახევარში რომის ეკლესია მოსწყდა აღმოსავლეთის ეკლესიას და საქართველოს ეკლესიამაც ამავე დროს ანტიოქიის პატრიარქისაგან სრული დამოუკიდებლობა მიიღო, [6]) რითაც საფუძველი გამოეცალა ევროპის ქრისტიან სამეფოების მხრივ შიშსა, და ქართველ მეფეებს შეძლება მიეცათ ეკლესიის შესახებ ისე ემოქმედნათ, როგორც საკუთარი გონება გაუჩრიდათ. მაშასადამე, უკეთუ გვსურს გავიგოთ, თუ როგორს ურთიერთობაში უდგა სახელმწიფო ქრისტიანობრივს ეკლესიას საქართველოში, მტკიცედ იცავდა თუ არა იგი სარწმუნოებრივს საქმეებში ძალდაუტანებლობის პრინციპს,—რა თქმა უნდა, ჩვენ სწორეთ ამ ხანას უნდა მივმართოთ და უმთავრესად ამ პერიოდის მეფეთა მოქმედებაში უნდა ვეძიოთ აღნიშნულ საკითხის პასუხი და განმარტება.

ჩვენი „ოქროს საუკუნე“ იწყება დავით II აღმაშენებლის მეფობით (1139 წლიდან) და თავდება თამარ-დედოფლის გარდაცვალებით (1213 წელს). მთელს ამ ხნის განმავლობაში—არც ქრისტიანობის გავრცელებას, არც ისტორიულ-კანონიურად შექმნილს ეკკლესიის წეს-წყობილებას, არც მის შინაგანს მართვა-გამგეობას და ქონებრივს დამოუკიდებლობას სახელმწიფოს მხრივ არავითარი ძალ-დატანება და შევიწროება არ განუცდია.

ამ დროს ქართველი საერო მთავრობა ქვეშევრდომებს ძალას არ ატანდა, უსათუოდ მართლმადიდებლობით ეკკლესიის წევრად გამხდარიყვნენ, პირიქით როგორც მართლ-მადიდებლებს, ისე გრიგორიანებს, კათოლიკეებს, მაჰმადიანებსა და ებრაელებს გასაოცარის პატივისცემით ექცეოდა და მფარველობდა. ამას მოითხოვდა როგორც პოლიტიკური შორს-მჭვრეტელობა, ისე სარწმუნოებისა და კერძოდ ეკკლესიის თავისუფლების პრინციპი. დავით-აღმაშენებლის თანამედროვე სომხის ისტორიკოსი მათე ედესელი აღტაცებით მოგვითხრობს ამ მეფეზე, რომ იგი იყო „წმინდა, კეთილმსახური, ქველმოქმედი და მართლ-მსაჯული კაცით; მის გარემოთ თავს იყრიდა სომხის ერის გადარჩენილი ნაწილი, რომლისთვისაც მან საქართველოში ქალაქი გორიც-კი დააფუძნა, სადაც მრავალი ტაძარი და მონასტერი ააშენა და ჩვენს ხალხს ყოველგვარი ნუგეში და მშვიდობა მიანიჭაო“. [7]) ხოლო მუსულმანთა მწერალი ელაინი დავით-აღმაშენებლის შესახებ გადაჭრით გვეუბნება, რომ „მაჰმადიანებს იგი უფრო მეტის პატივისცემით ეპყრობოდა, ვიდრე თვითონ მაჰმადიანი მეფეებიო“. [8]) მსგავსისავე პატივისცემით სარგებლობდნენ გრიგორიანები თამარის მეფობაშიაც, როდესაც ზოგიერთ მათგანს უმაღლესი საერო ხელის-უფლებაც კი ჰქონდათ მინდობილი თამარისაგან (სარგის და ზაქარია მხარგრძელნი). [9])

რაც შეეხება ქართველ მეფეების მიერ რომის-კათოლიკობის შეწყნარებას, რომლის საკუთარი ისტორია ჩვენში თამარის შემდეგ იწყება,—ამას ამტკიცებს თითქმის ყოველი გვერდი მღვდლის მიქელ თამარაშვილის თხზულებისა: „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“. [10]) შეწყნარებული იყო, საერო მთავრობისაგან საქართველოში ებრაელთა მონოთეიზმიც, რადგან თვით ებრაელები ფრიად სასურველ და სასარგებლო ნაწილს შეადგენდნენ ქართველ ერისას: იგინი ითვლებოდნენ სამეფო, საეკკლესიო და სათავადო ყმებად და როგორც მეფეს, ისე თავადებსა და ეკკლესიას ფულითა და კოლონიალურ ნაწარმოებით განსაზღვრულ ხარკს აძლევდნენ. [11]) ცხადია, ამგვარს პირობებში ჩაყენებულს მართლმადიდებლობის ეკკლესიას ნაძალადევი წევრი ერთიც არ გაუჩნდებოდა. თუ კი ამ ეკკლესიას უცხო სარწმუნოების მიმდევართაგან ახალი წევრი შეემატებოდა, ეს იძულებით და პოლიტიკურის ანგარიშით კი არ ხდებოდა, არამედ სრულიად თავისუფლად და ახლად-მოქცეულის გულწრფელ და უანგარო გადაწყვეტილების თანახმად.

საეკკლესიო კანონების ძირითადი მოთხოვნილებაა—რომ მოციქულთაგან ნაანდერძევს, ისტორიულად შექმნილს, მსოფლიო პატრიარქთაგან დაკანონებულს და ტრადიციულად გადმოცემულს ეკკლესიის წეს-წყობილებას და მართვა-გამგეობას იოტის ოდენიც არა დააკლდეს-რა.*) მე-XII საუკუნის დამდეგს საქართველოს ეკკლესიას ჰქონდა მსოფლიო პატრიარქების მიერ ცნობილი დამოუკიდებელი კათალიკოზი, ჰქონდა ისტორიულ-ტრადიციულად ნაანდერძევი შინაგანი ორგანიზაცია, მორწმუნეთა კეთილნებელობით შემოწირული უძრავ-მოძრავი ქონება და ყოველისავე ამის უზენაესი განმგე და კანონმდებელი—საეკკლესიო კრება. არც ერთ ამ დაწესებულებასა და ორგანოს არც დავით-აღმაშენებელი და არც თამარ-მეფე მცირეოდნადაც არ შეეხებიან. პირიქით, იგინი ყოველ ღონეს

---

*) უფრო ვრცლად ამ საგნის შესახებ იხ. ჩვენივე წერილი: „ეკკლესია და მისი თავისუფლება“, რომელიც „ცნობის-ფურცლის“ № 2790-ში დაიბეჭდა ამ წლის 6 აპრილს.

მისულან პოლიცმეისტერი და ერთი როტა სალდათი.

✦ გუშინ ტფილისის ვაჭრების ერთმა ჯგუფმა ქალაქის მოურავის მოადგილეს სთხოვა, შუამდგომლობა აღძარით განათავისუფლონ **გაფიცვის დროს უმიზეზოდ დაპატიმრებული** ერთი ვაჭარი და მისი ნოქარი, თორემ იძულებული ვიქნებით ყველამ შევსწყვიტოთ ვაჭრობა და დუქნები დავკეტოთო.

✦ **ბათუმის ქალაქის წევრად არჩეული** ბ-ნი ვოლსკი, რომელიც ადგილობრივმა ადმინისტრაციამ არ დაამტკიცა, „ჩ. ვ.“-ს სიტყვით, დაუმტკიცებია კავკასიის უმაღლესს მთავრობას.

✦ ტფილისიდან ერევანში მიმავალი სახალხო მატარებელი № 74—73 8 ივნისს, ღამის 12 საათზედ, გამოურკვეველ მიზეზისა გამო, მე-143 ვერსტზე **ლიანდაგს გადასცდა**. ამ მატარებლით ერევანში მიდიოდა ერევნის გენერალ-გუბერნატორად დანიშნული პრინცი ნაპოლეონი. კაცს უბედურება არ შემთხვევია. ცოტახანს შემდეგ ახლო სადგურიდან მატარებელი გამოიწერეს და ხალხი ერევნისაკენ გაემართა.

✦ როგორც „ტ. ლ.“-ს ატყობინებენ, **განჯის გუბერნიაშიც შეშფოთებულა ხალხი**. ეშინიანთ, სომხებსა და თათრებს შორის შეტაკება იქაც არ მოხდეს.

✦ „კავ. ლის.“-ს სიტყვით, ტფილისის **ქალაქის მოურავი ქრ. ა. ვერმიშევი** თანამდებობას თავს ანებებს.

✦ დღეს, 10 ივნისს, სახალხო თეატრში, ავჭალის ქუჩაზე, ქართულ სექციის მიერ დანიშნულია **კრება სახალხო თეატრის** შესახებ მოსალაპარაკებლად. კრება დაიწყება ნაშუადღევის ხუთ საათზე.

✦ **სომეხ-თათრების შეტაკების შესახებ** ეპისკოპოსს გარეგინ სატუნიანს ნახიჩევნიდან 5 ივნისს შემდეგი დეპეშა მიუღია: „მთელ მაზრაში 18 სოფელია განადგურებული, 12—დარბეული. ნათესი და ბაღები იღუპება, რადგან ყოვლად შეუძლებელია მუშაობა. სოფლის მცხოვრებთ პური არა აქვთ. მიმოსვლა სოფლებს შორის საშიშოა. სოფლებს ეხლაც არბევენ. განადგურებულ სოფლებში ჯარის-კაცები იგზავნებიან, მაგრამ, მცირე რიცხვისა გამო, ისინი ვერაფერს არიგებენ. მდგომარეობა საშიშია“.

✦ როგორც „ტ. ლ.“-ს ატყობინებენ, 7 ივნისს, **ერევნის გუბერნატორთან მისულან** ჩობონკარის, უშის და სხვა სოფლების თათრები და უთქვამთ, რომ აშტარაკის, კინავირის, აბარანის და სხვა მეზობელ სოფლების მცხოვრებნი—სომხები დაგვესხნენ და სამი სოფელი გაგვინადგურესო. სოფ. ჩობონკარას სომხები გარშემო არტყიან და მცხოვრებთ ამოჟლეტას უპირობენო. რადგან თათრებმა განაცხადეს, რომ დარბეული ქონება და საქონელი კინავირელ სომხებსა აქვთო, ამიტომ გუბერნატორი თვითონ წავიდა ამ სოფელში საჭირო ზომების მისაღებად. ასევე შესჩივლეს გუბერნატორს მთებში მდებარე ავერიშის და სხვა სოფლების სომხებმა. ერევნის გუბერნიის ამ ადგილებში დიდძალი სოფლებია განადგურებული და დარბეული. მცხოვრებნი ზოგნი გაიქცნენ, ზოგნი კი დაიხოცნენ. გუბერნიის სხვა და სხვა ადგილებიდან ერთი მეორეზე სამწუხარო ამბები მოდის.

✦ **ტფილისის გუბერნატორად** ინიშნება გენერალ-მაიორი ბარონ რაუშ-ფონ-ტრაუნბერბერგი.

✦ მოგილოვის გუბერნიაში სამის კვირით წავიდა კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე სამხედრო ნაწილის უფროსი, **გენერალი ი. დ. მალამა**.

✦ 8 ივნისს მოხდა **კრება ტფ. შრომის სახლის** წევრთა. კრებამ ანგარიში და სავარაუდო აღრიცხვა დაამტკიცა. დასასრულ კრებამ აარჩია მოხელე პირნი. გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ნამესტნიკის მეუღლე გრაფინია ვორონცოვ-დაშკოვისა და წევრებად ა. ფ. რაუტ-ფონ-ტრაუნბერგბენისა, მ. ს. შახ-პარონიანცი და ი. დ. კოლჩევსკი.

✦ 8 ივნისს, ღამის 11 საათზედ, ავჭალის ქუჩაზედ პოლიციელს ანტონ დარგიხს, როდესაც იგი ვაჭარს სერგო გრიქუროვს ელაპარაკებოდა, ქუჩიდან ვიღაცამ რევოლვერი ესროლა. იქვე იყო მეორე პოლიციელი დიმიტრი ალეხინი, რომლისათვის ვიღაც სხვა კაცს **სამჯერ დაუხლია რევოლვერი**. უცნობები სადღაც მიმალულან. ექიმის შემოწმებით პირველ პოლიციელის მორჩენა საეჭვოა, ხოლო მეორეს ალეხინს ხელი გაუფუჭდება.

✦ **ტფილისის სემინარიის რექტორს ნიკანდრს** ეპისკოპოსად აკურთხებენ კვირას, 12 ივნისს.

✦ **სტამბებისა და ლიტოგრაფიების** ინსპექტორი სოლოვიოვი სხვა თანამდებობაზე გადაჰყავთ. („ქ. ლ.“).

✦ თამამშევის ქარვასლის ერთი პატრონთაგანი, ნ. ფ. თამამშევი თავის გაზეთს „კავკ. დის.“-ში, სხვათა შორის, სწერს: ქარვასლის პატრონებმა გადასწყვიტეს ღარიბ ვაჭრებს აპატიონ დიდ-ძალი ფული, 7 ათასი მანეთი. ამით უნდოდათ შემწეობა აღმოეჩინათ. მაგრამ ვაჭრებმა ამ წყალობაზე უარი განაცხადეს. მიუხედავად ამისა, ქარვასლის პატრონებმა გადასწყვიტეს, ჩუმად გაანაწილონ ეს ფული. თუ ვაჭრები არც ამას დასთანხმდებიან, მაშინ პატრონნი იძულებულნი იქნებიან, სამართალს მიმართონ და ფული ისე მიკრიბონ. ასე სწერს და ემუქრება ვაჭრებს ქარვასლის ერთი პატრონთაგანი და რედაქტორი. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ვაჭრებმა მოითხოვეს ქირების დაკლება და არა მოწყალება.

✦ დღეს, 10 ივნისს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია კრება მოქალაქეთა რწმუნებულებისა. სხვათა შორის, მოხდება მოხელე პირთა არჩევნები.

✦ ამას წინად ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ერთ განყოფილებიდან შეცდომით ვიღაც უცხოსათვის მიუციათ ასი თუმანი. მოხელეს, რომელიც ამ საქმეს განაგებს, შეშინებია—სამართალში არ მიმცენო, ძლივ-წვალებით უშოვნია ასი თუმანი და შეუტანია.

✦ პოლიციის მე-9 ნაწილში, როგორც მკითხველებმა იციან, ჩაძოდის დიდი ხევი, რომელიც აქამდე გაუკეთებელია, თუმცა საბჭომ 20,000 მან. გადასდო ამ საქმისათვის. 5 ივნისს წყალ-დიდობისა გამო დიდ ხევში ისეთი ძლიერი ნიაღვარი იყო, რომ პორფიროვისა და მეზობელ მცხოვრებთა სახლების ჩარდაფებში მცხოვრებლებმა ძლივს გაჭირვებით გადაირჩინეს თავი.

8 ივნისს ნავთლუღში მტკვრის პირად პოლიციელებმა ნახეს ვიღაც მოკლულ კაცის გვამი გვამი მიხეილის სამკურნალოს საანატომიო განყოფილებაში გაგზავნეს.

✦ ხელოსნები მიხეილ ოჰანეზოვი, არშაკ ავეტიქოვი და ზაქარია მირაქოვი გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ მათმა სახლის პატრონმა არტემ თეიმურაზოვმა დაუკლო დუქნების ქირა 20%.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

9 ივნისი

პეტერბურგი, 9 ივნისი. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად ნამყოფი დიმიტრი დაინიშნა ბალტის ვიკარათ, ხოლო დეკანოზი ვოსტორგოვი — სარატოვის ეპისკოპოსის განკარგულებაში.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ს. დ. წერეთელი 5 ივნისს გაემგზავრა პეტერბურგს თავად-აზნაურთა წინამძღოლების კრებაზე დასასწრებლად, რომელიც უნდა მოხდეს 12 ივნისს.

✦ ქალაქის მოურავმა დ. ა. ლორთქიფანიძემ დეპეშა მიიღო მოსკოვის მოურავის თავ. გოლიცინისაგან, რომელიც იწვევს ქუთაისის ქალაქის მოურავსა და საბჭოს ერთს ხმოსანთაგანს ქალაქის მოურავების კრებაზე დასასწრებლად, რომელიც 15 ამ თვეს უნდა მოხდეს მოსკოვში. 6 ივნისს ქალაქის საბჭოს ამ დეპეშის გამო ჰქონდა კერძო თათბირი, რომელზედაც ერთხმად დადგენილ იქმნა გაიგზავნოს მოსკოვის კრებაზე დასასწრებლად ქალაქის მოურავი დ. ა. ლორთქიფანიძე და ხმოსანი გ. ფ. ზდანოვიჩი.

✦ ამდენხანს ქუთაისში სტკაცუნებლებს ისროდნენ და ეხლა, მგონი, პატარა ყუმბარებიც შემოიღეს ისე, ტყუილად, სავარჯიშოდ. ერთი ამგვარი ყუმბარა ვიღაცას გუბერნიის სამმართველოს ფანჯარაში შეეგდო ამას წინად. ყუმბარას დაუმტვრევია ერთი სტოლი და სკამი. კაცთაგან არავინ დაშავებულა.

✦ 6 ივნისს საადგილ-მამულო ბანკის გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის შეერთებულ სხდომაზე მოხდა ბანკის მამულების დამფასებელ კომისიის წევრთა არჩევნები. არჩეულ იქმნა სამი წევრი: ნ. ა. დგებუაძე (კომისიის ძველი წევრი), ი. მ. ფალავა და დ. ბ. ჩხეიძე. კომისიის თავმჯდომარე ვ. ა. თუმანიშვილი, რაღაც გამოურკვეველ მიზეზის გამო, გაშავებულ იქმნა.

✦ 5 ივნისს მამულების ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების კრებაზე საზოგადოების წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლის შემდეგ არჩეულ იქმნენ სარევიზიო კომისიის წევრებად ისევ დ. ნ. აბდუშელიშვილი და ი. ი. პურადიშვილი. კრებაზე, სხვათა შორის, აღიძრა საქმე გამგეობის ძველის წევრის ი. გ. ჩამაკაძის დაჯილდოვების შესახებ. ამ კითხვის გადაწყვეტა კრებამ მომავალი წლის საზოგადო კრებამდის გადასდო.

✦ ქუთაისის საქველმოქმედო საზოგადოების კრებას 5 მაისსაც არ დაესწრნენ წევრები, რის გამო საზოგადოების გამგეობის არჩევნები ამ წლის სექტემბრამდის გადაიდო.

ამ დღეს აირჩიეს მხოლოდ საზოგადოების მდივანი დ. ნ. ავალიანი.

✦ ინჟენერმა ალიბეგოვმა უკვე დაამთავრა ქუთაისში ტელეფონის გამართვა და მალე ქალაქიც ჩაიბარებს. ჯერ-ჯერობით ტელეფონს 69 აბონენტი ჰყავს.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.

8 ივნისს კრებამ განაგრძო კამათი გორის სინდიკატისთვის სესხის მიცემის შესახებ. ექ. გაბაშვილმა განაცხადა: გამოტეხილი უნდა ვთქვა, რომ გუშინ შავი კენჭი ჩავუგდე საკითხს, რადგან 30,000 მან. სადა გვაქვს, რომ სინდიკატს მივცეთ; ხოლო კენჭი რომ გეყარათ ნაკლების, მაგ. 10,000 მანეთისთვის, მე თანახმა ვიქნებოდიო. ამას მიემხრო თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილი. ზოგმა განაცხადეს: ამ საკითხს კენჭს ველარ ვუყრით, რადგან გუშინ უკვე გადასწყდაო. გაბაშვილმა მოითხოვა ყუთი დაედგათ 10,000 მან. კენჭის ყრით კრებამ 47 ხმის უმეტესობით 27 ხმის წინააღმდეგ დაადგინა, სინდიკატს სესხად მიეცეს 10,000 მან.

შემდეგ თავმჯდომარემ წარუდგინა კრებას განსახილველად გორის მაზრის თავად-აზნაურთა ერთის წრის განცხადება. ეს წრე თხოულობს სესხად 20,000 მან. ექ. გედევანიშვილი, თავ. დ. ჯორჯაძე და თავ. ს. ვახვახიშვილი წინააღმდეგნი იყვნენ ამ საგნის განხილვისა. მათ განაცხადეს, ჯერ უნდა ხარჯთ-აღრიცხვა განვიხილოთ, დავაკმაყოფილოთ თავად-აზნაურობის უმთავრესი საჭიროებანი, მაგ. სათავად-აზნაურო სკოლას მივცეთ ფული, და მერე დაზარალებულ თავად-აზნაურთ აღმოვუჩინოთ დახმარებაო. კამათი გაგრძელდა. წინააღმდეგი ბევრი იყო, მაგრამ თავ-მჯდომარემ მაინც წაიკითხა ერთის ჯგუფის განცხადება. ეს ჯგუფი სწერს, რომ გლეხთა მოძრაობამ დიდად დაზარალა თავად-აზნაურობა; მოუსავლიანი წელიწადი მოგველის და გადასახადი ბევრიაო. თხოულობენ სესხად, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, 20,000 მანეთს. პირველ შეძლებისათანავე ვეცდებით სესხი გადავიხადოთო. სულ ამ ჯგუფში 15—20 კაცამდე იქნება. სხვათა შორის, არის იქ თავ. გიორგი ამილახვარი, მიტო კალატოზიშვილი, თურქესტანიშვილი და სხვები.

თავ. დ. ჯორჯაძემ სთქვა: თელავის მაზრის თავად-აზნაურობაც ისევე დაზარალდა, როგორც მთელის საქართველოს თავად-აზნაურობა. რადგან მათთვისაც საჭიროა დახმარება, ამიტომ მე, როგორც მათი რწმუნებული, ვითხოვ, თელავის მაზრის თავად-აზნაურთაც მიეცეთ სესხად 40,000 მანეთიო. ამ სიტყვებმა ძალიან გააჯავრა გ. ვ. მაჩაბელი. იმან სთქვა: თელავის მაზრის თავად-აზნაურთა განცხადება არაფერზე არ არის დამყარებული. ჩვენ, გორის მაზრის თავად-აზნაურთა ერთი ნაწილი, თუ ვთხოულობთ 20,000 მან., მართლაც ვსაჭიროებთ, რადგან გლეხთა მოძრაობით გორის მაზრის თავად-აზნაურობა უფრო დაზარალდა. თელავის მაზრის თავად-აზნაურობას არა სჭირდება ფული და თუ თავ. ჯორჯაძემ მოითხოვა 40 ათასი მანეთი, ეს იმიტომ, რომ ჩვენ, ნამდვილად დაზარალებულთ, ხელი შეგვიშალოს. სირცხვილია, სირცხვილი ასეთი საქციელიო. გაისმა ჩოჩქოლი და ხმაურობა. თელავის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილმა სთქვა: ბ-ნ მაჩაბლის სიტყვები ჩემისა და თელავის თავად-აზნაურობის შეურაცხყოფად მიმაჩნია, ამიტომ იმ კრებაზე ველარ დავრჩები, სადაც ამგვარს სიტყვებს ადგილი აქვსო. ამის შემდეგ თავ. ჩოლოყაშვილი წამოდგა და დარბაზიდან დემონსტრატიულად წავიდა. კრების უმრავლესობა თავ. ჩოლოყაშვილს გაჰყვა. ამის შემდეგ კრება დაიშალა და დღეისათვის გადაიდო.

წერილები

ქიზიყი. ამას წინათაც ჩვენს კორესპონდენციაში ქიზიყიდან მოხსენებული გვქონდა რომ დღეს მეტად შევიწროვებულია გლეხობა საკმაო მამულის უქონლობით და ამ მიზეზით ატეხილია გაუთავებელი დავი-დარაბა სოფლებს შორისო. ეს დავა გამოწვეულია იმ მიზეზით; რომ არ არის გამორკვეული თუ რომელი სოფელი რამდენს და რა მამულებს მფლობელობს, რადგან ჯერაც გაუმიჯნავია მამულები. ისეა აწეწილ-დაწეწილი და არეულ-დარეული მამულების საქმე მთავრობის დაწესებულებებში, სადაც ინახება ვითომ და დოკუმენტები მამულების შესახებ, რომ ეშმაკიც ვერ გაუგებს თავსა და ბოლოს. ამას ზედ დაუმატეთ გაუმაძღრობა, რაღაცა ბოროტი პოლიტიკა და მეცადინეობა, რომ რაც შეიძლება ნაკლები მამული ჰქონდეს ქიზიყს. ყოველ წელს უფრო და უფრო ავიწროვებენ და ართმევენ საუკეთესო მიწა-წყალს ხაზინის სასარგებლოდ. ამას გარდა ხან ერთს სოფელს მოჰგლეჯენ მიწის ნაჭერ და მისთავაზებენ მეორეს, ხან მოაგლეჯენ და მისცემენ მესამეს, და ასე დაუსრულებლივ, რის გამოც მთლად აირივ-დაირივა მამულების გაწესრიგება სოფლებს შორის. წინად, ვიდრე სახელმწიფო მამულების აგენტები ჩაერეოდნენ საქმეში, ყველა სოფელს განსაზღვრული ჰქონდა მიწა-წყალი და არავის აზრადაც არა ჰქონდა ერთმანეთისათვის დავა აეტეხა, რადგან ყველამ იცოდა, რაც მისი იყო. ახლა, როდესაც ასე არივ-დარიეს საქმე და სოფელს მამული შემოაკლდა, ასტყდა ერთი ვაივაგლახი.

თუ დავა გადავიდა მთავრობის დაწესებულებებში გასარჩევად ან ადმინისტრაციას ჩაუვარდა ხელში, მშვიდობით ცოლო და შვილო, ხელი უნდა აიღოთ ყველაფერზე, რადგან საქმე გაუთავებელი ხდება. პირველად ერთსაც ჰპირდებიან, მეორესაც, მაგრამ ბოლოს ხაზინის სასარგებლოდ რჩება.

აი ამისთანა დავა ასტყდა ამ მოკლე ხანში სოფ. საქობოს და ასანუს შორის. საქობოს უნდა ჰქონდეს 8,700 დესეტინა მამული, რადგან ამის ხარჯს იხდის. ამ ოცი წლის განმავლობაში სახელმწიფო მამულების აგენტები ხან ერთს საუკეთესო მიწის ნაჭერს ჩამოაცლიდნენ, ხან მეორეს და გადაჰქონდათ სახაზინოდ. ბოლოს იქამდის მიიყვანეს სოფელი, რომ სამყოფი მამული აღარ შერჩათ; ნუ დაივიწყებთ, რომ საქობო დღესაც იხდის დაკარგულ მამულების ღალას, იმ მამულების ღალას, რომელიც ზოგი იჯარით მისცეს კერძო პირებს და ზოგიც გადმოსახლებულ რუსებს მიუზომეს. ზემოხსენებულ წართმეულ მამულებზე საქობოს დიდი ხანია დავა აქვს ხაზინასთან. სოფელი თხოულობს: ან მამულები დაგვიბრუნეთ, ან ხარჯიდან გაგვანთავისუფლეთო, მაგრამ სამართალი არსად არის. მამულების ასეთმა არევ-დარევამ გადაკიდა ერთი სოფელი მეორეს. ამ ნიადაგზედ აღმოცენდა სოფ. საქობოს და ასანუსს შორისაც დავა. ამ დავაში რომ ბოროტი სულები არ ჩარეულიყვნენ, შეიძლება საქმე უბრალოდ გათავებულიყო და არ დასრულებულიყო ასე ტრაგიკულად. ამ ოციოდე წლის წინად სოფ. საქობოს შეუერთეს ადმინისტრატიულად სოფ. ასანური. წინად ეს პატარა სოფელი შეადგენდა ბოდბე-ქედლის საზოგადოებას. მამულიც ამ სოფელს უკანა მხარეში ჰქონდა, ხოლო ალაზნის ნაპირებზე არა მოეპოვებოდა რა. საქობომ, როგორც მოძმეს და მეზობელ სოფელს, თავის მამულებიდან შესთავაზა 300-მდე დესეტინა საუკეთესო სახნავ-სათესი მამული, თუმცა ხარჯს ამ მამულებისას თითონ იხდიდა. ასანური კი ხარჯს იხდის იმ მამულებისას, რომელიც მას უკანა მხარეში ჰქონდა, მაგრამ ამ მამულებით არ ვიცი, ვინა სარგებლობს. რასაკვირველია, ასანურს 300 დეს. ნაწყალობევი მამული არა ჰყოფნიდა და ცხადლივ თუ მალვით სარგებლობდა ისევ საქობოს მამულებით. საქობომ არა ერთხელ და ორჯელ მოსთხოვა ასანურს, გეყოფა ამდენი ჩვენი მამულებით სარგებლობა, ხომ ხედავთ, ჩვენც არა გვყოფნია, მოსთხოვეთ მთავრობას, სახაზინო მამულები ხომ ბევრია, ან არა და ხარჯში მაინც შემოგვიშველეთო. მაგრამ ასანურს სახელმწიფო მამული არ მისცეს, ხარჯს ბლომად ახდევინებენ, და იძულებული იყო ისევ საქობოს ჩამოჰკიდებოდა კისერზე. როდესაც საქობომ ველარა გააწყო-რა, ადგა ამ რამდენისამე კვირის წინად და ასანურის საქონელი გამორეკა თავისს საძოვრებიდან და ბაკებიც აუშალა. მაგრამ ხალხის მტერს, მოგეხსენებათ, არა სძინავს, და აი კიდეც ისარგე-

ხმარობდნენ, რათა ეკლესიის ყველა ორგანოებს თავისუფლად და ნორმალურად ემოქმედნათ.

1103 წელს მოხდა ეგრედ-წოდებული რუის-ურბნისის კრება, რომელსაც, მართალია, დავით-აღმაშენებელი დაესწრო, მაგრამ, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი შენიშნავს, ამ კრებაზე იგი იჯდარა „არა ვითარცა მეფე, არამედ ვითარცა მონა“.[12] თვის მეფობის დასაწყისში (1184 წ.) საეკლესიო კრებას მოუწოდა თამარ-მეფემაც, მაგრამ ამ კრების დარბაზში იგი დიდ-ხანს არ დარჩენილა, ხოლო რახანსაც დარჩენილა, „ქართლის—ცხოვრების“ მოწმობით, კრების წევრთ იგი მოპყრობია „დიდითა სიმდაბლითა, ვითარცა ერთი კაცი შეურაცხი და არა ვითარცა მეფე“.[13]

ამ ორ კრებაზე საკმაოდ გამოირკვა სამღვდელოებისა და მეფის შეხედულება, ერთის მხრით, ეკლესიის უზენაეს დანიშნულებაზე და, მეორე მხრით, საეკლესიო მართვა-გამგეობის განსაკუთრებულ ხასიათზე. როგორც რუის-ურბნისის კრების ოქმიდან („ძეგლის წერა“) ვტყობილობთ, ეკლესიის უმაღლესი დანიშნულებაა—„სულთა შინაგან თვისებათა განბრწყინვება“ და „საქმეთა მიერ განსრულებულ სარწმუნოებით ღმერთთან ქრისტიანების შეერთება“,[14] ანუ, მდაბიურად რომ ვთქვათ, ზნეობრივ-სარწმუნოებრივი აღზრდა და ღმერთთან ერთობის მიღწევა. ხოლო თამარ-მეფის სიტყვით, ამ აზრის განსახორციელებლად აუცილებლად საჭიროა „საღმრთო სჯულთა შეუგინებელად დაცვა“, რომელიც ვალად აწევს როგორც მეფეს, ისე საეკლესიო იერარქიას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ როცა მეფე „საქმით, განსწავლითა და განსწვრთით“ დარაჯობს საღმრთო კანონებს, საეკლესიო იერარქია მარტო „სიტყვით სწავლითა და წვრთით“, ე. ი. ქადაგებითა და ჩაგონებით მოქმედებს; ამასთანავე სამღვდელოების სიტყვა არის და უნდა იყოს პირუთვნელი, მართალი და გაბედული: იგი არ უნდა შეუშინდეს „მთავრებს—სიდიდისათვის“ და არც „გლახაკებს“ უნდა სწაგრავდეს „სიმცირისათვის“. მაგრამ აი თვით დედოფლის სიტყვები:

„წმიდანო მამანო! თქვენ ღვთისა მიერ განჩინებულ ხართ მოძღვრად ჩვენდა და მმართებლად წმიდათა ეკლესიათა, და თანა-გაცთ სიტყვის მიგებად სულთა ჩვენთა. გამოიძიეთ ყოველი კეთილად, დაამტკიცეთ მართალი და განხადეთ ყოველი გულარძნილი. იწყეთ პირველად ჩემ-ზედა, რამეთუ შარავანდედი ესე ხეგობისა არს და არა ღვთის მბრძანებლობისა; ნუ თვალ-ახვამთ მთავართა სიდიდისათვის, ნურცა გლახაკთა უძებ-ყოფთ სიმცირისათვის. თქვენ სიტყვით—ხოლო მე საქმით, თქვენ სწავლით—ხოლო მე განსწავლით, თქვენ წვრთით—ხოლო მე განსწვრთით, ზოგად ხელ-მივცეთ დაცვად სჯულთა საღმრთოთა შეუგინებელად, რათა არა ზოგად ვიზღვივნეთ, თქვენ ვითარცა მღვდელნი, ხოლო მე ვითარცა მეფე, თქვენ ვითარცა მწენი, ხოლო მე ვითარცა ებგური“[15].

ასეთია თამარის სეფე-სიტყვა, რომლითაც მან კრების მამებს მიმართა. როგორც ვხედავთ, დედოფალი არამც თუ საეკლესიო წესებს დარღვევას არ უქადის, პირიქით, თვით სასულიერო მამებს ემუდარება—დახმარება აღმოუჩინონ „საღმრთო სჯულთა დაცვაში“. ამასთანავე სრულიად საფუძვლიანად და გადაჭრით ამბობს, რომ ხალხის სულიერ „მოძღვრად“ და „წმიდა ეკლესიათა მმართველად“ მოწოდებულია თვით ეკლესიის იერარქია და კრება, და არა საერო პირი გინდ სხვა რომელიმე დაწესებულება. საერო მთავრობა მხოლოდ „იცავს“ სამღვდელოებასთან ერთად, უკვე არსებულს საეკლესიო „სჯულსა“ და წყობილებას, მაგრამ განკარგულებით კი ვერაფერს განაკარგულებს, ვერ შესცვლის და ვერც გადააკეთებს.

მარტო კათოლიკოსის არჩევაში სდებია წილი „მეფეს“, როგორც შიო-მღვიმის ერთ-ერთი გუჯარი გვარწმუნებს, მაგრამ, თუ არ ვსცდებით, ისიც არა როგორც შინაურ მთავრობის უზენაეს წარმომადგენელს, ესე იგი არა როგორც მეფეს, არამედ როგორც ეკლესიის წევრს, სხვა წევრებთან ერთად. აღნიშნული გუჯარი გვეუბნება, რომ ანტიოქიის კათედრისაგან ჩვენს ეკლესიას მიეცა უფლება, „რათა შეკრებოდიან ეპისკოპოსნი სამრევლოისა მისისანი (ე. ი. საქართველოს ეკლესიისანი) და აკურთხევდნენ კათალიკოზსა, რომელიცა სთნდეს მეფესა და ერსაო“.[16] ამ ფაქტს თვით ანტიოქიურ პირველ წყაროებშიც მე-XI საუკუნეში ქართულად და სლავიანურად ნათარგმნი წერილებიც გადმოგვცემენ, მაგრამ მეფეზე არას ამბობენ. ერთი ამ წერილთაგანი (სლავიანური) კათალიკოზის ამომრჩევლად მარტო ქართველ ეპისკოპოსებს აღიარებს,[17] მეორე-კი (ქართული)—ეპისკოპოსებსა და „მოძღვართა“,[18] ე. ი. ეკლესიის წევრთ ანუ მორწმუნეებს, რაც უდრის შიომღვიმის გუჯრის „ერსა და მეფესა“, უკეთუ ამ უკანასკნელის სახელით ვიგულისხმებთ „მეფეს“, როგორც წევრს ეკლესიისას და არა როგორც საერო მთავრობის უზენაეს წარმომადგენელს.

არა მარტო ეკლესიის საზოგადო წყობილება და მართვა-გამგეობა, არამედ საეკლესიო იერარქიის კერძო წევრთა პიროვნებაც კი სრულიად ხელ-შეუხებლად ითვლებოდა საერო მთავრობის მხრით. „ეპისკოპოსის დასჯა არ შეიძლებაო,—ამბობს აღბუღას სამართალი,—თუნდ რომ მეფე სამართლიანადაც იყოს იმაზე განრისხებული, რადგან ეპისკოპოსი მეორე მეფეა, ქრისტიანობრივ სჯულის დამცველი, და ასევე უნდა უცქეროდეს მას თვითონ მეფეცაო“.[19] მეფის თანასწორად ითვლებოდა ვახტანგ მე-VI-ის კანონებით და „სასულიერო მეფედ“ იწოდებოდა აგრეთვე სრულიად საქართველოს კათალიკოზიც.[20]

ასეთი იყო ქართველ მეფეთა და საერო მთავრობის განუსაზღვრელი პატივისცემა ქრისტიანობრივ „სჯულისა“ და საეკლესიო იერარქიისადმი. კიდევ უფრო განუზომელი იყო საერო მთავრობის მხრივ ეკლესიის ქონებრივ უფლებათა ხელ-შეუხებლობა. ამას მოწმობს თითქმის ყოველი სიგელ-გუჯარი მე-XI საუკუნიდან მე-XVIII საუკუნის დამლევამდე[21], ამასვე ამტკიცებს ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფეთა: ერეკლე მე-II-ისა და გიორგი მე-XII-ის ცნობილი ფირმანი, რომლითაც იგინი ცხადად აღიარებენ, რომ „ჩვენ არამც თუ საეკლესიო მიწების ჩამორთმევა, ხელის ხლებაც კი არ შეგვიძლიაო.“

ამ რიგად, მართალია, პირველ-ხანად ჩვენში ქრისტიანობამ ვერ აიცდინა საერო მთავრობის არა-სასურველი გავლენა, მაგრამ შემდეგში სრულიად განთავისუფლდა ამგვარ გავლენისაგან და საბოლოოდ შემდეგს პრინციპებზე განიმტკიცა თავისი ურთიერთობა სახელმწიფოსთან ა) სარწმუნოების გავრცელებაში სრული თავისუფლება და ძალ-დაუტანებლობა, ბ) საეკლესიო წყობილებისა და შინაგანის მართვა-გამგეობის სრული დამოუკიდებლობა, გ) უმაღლეს საეკლესიო იერარქიის წევრთა პიროვნულ ხელ-შეუხებლობის მხრივ „მეფესთან“ გათანასწორება და უკანასკნელ, დ) საეკლესიო ქონების სრული ხელ-შეუხებლობა.

აი რაში გამოიხატა და როგორ ესმოდათ ეკლესიის თავისუფლება ძველ საქართველოში. შეიძლება, ზოგიერთის აზრით ეს შეხედულება შემცდარი და გაზვიადებულიც იყოს, მაგრამ ამას ჩვენ აქ არ გამოვუდგებით. ამას თვითონ მკითხველიც სისწორით დააფასებს.

ვალსამონი

---

1) Дж. Робертсонъ. Исторія Христ. Церкви. Т. I, стр. 139. Спб. 1890 г.

2) Ал. Аннинскій. Исторія Армянской церкви. стр. 11. Кишиневъ. 1900 г.

3) ქართლის-ცხოვრება. ზაქ. ჭიჭინაძის გამოცემა. წ. I, გვ. 134. შეად. ქრონიკა; „მოქცევა ქართლისა“ (იხ. ე. თაყაიშვილი. „სამი ისტორ. ქრონიკა“, გვ. 18—19. ტფილისი 1890 წ.).

4) ამიან მარცელინის მოწმობით. იხ. Ганъ. Извѣстія древн. греч. и римск. писателей о Кавказѣ. Ч. 1 стр. 185. Тифлисъ. 1884 г.

5) ქართლ.-ცხოვრება. I, გვ. 152. 154—155. შეად. Прокопія Кесарійскій. Исторія войнъ римлянъ съ персами, вандалоти и готеами. Пер. съ греч. т. 1, стр. 56—57. Спб. 1862 г.

6) ამაზე იხ. С. Горгадзе. Къ вопросу объ автокефаліи груз. церкви. გაზ. „Кавказскій Край“-ში. 1905 წ. № 4.

7) Dulaurier. Recueil des histor. des croisades.—Docum. armén. 1, p. 137. შეად. დ. მ. ბაქრაძის შენიშვნა. „ვახუშტი. საქართვ. ისტორია“. ნაწ. I, გვ. 185. შენ. 1 ტფილისი. 1885 წ.

8) Brosset. Additions et éclaircissements à l, Hist. de la Géorgie. p. 240—241. Spb. 1851.

9) ქ.-ცხოვრ. I, გვ. 409. 454—455.

10) მიქ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის.. XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. ტფილისი. 1902 წ.

11) იხ. А. Гренъ. Закавказскіе Іудеи. („Этнограф. Обозрѣніе“ 1893 г. № 3, стр. 131). შეადარეთ Д. Пурцеладзе. Церковн. гуджары. Тифлисъ. 1881 г. стр. 86. 110. 147. 122. 134. 130. 140. 129. 123 и 135.

12) ვახუშტი. საქართველოს ისტორია. ტფილისი. 1885 წ. ნაწ. I, გვ. 174—175.

13) ქ.-ცხოვრება. I, გვ. 406.

14) თ. ჟორდანია. „ქრონიკები“ ნაწ. II, გვ. 61. ტფილისი. 1897 წ.

15) ქ.—ცხოვრება. I, გვ. 406—407.

16) თ. ჟორდანია. „ქრონიკები“, ნაწ. I, გვ. 77. ტფილისი. 1893 წ.

17) იხ. „Правосл. палест. сборн.“ т. VI, вып. 1. стр, 47,

18) თ. ჟორდანია. „ქრონიკა“ I, გვ. 76: „რომელი გამოიჩინონ მოყვასთა მის ეკლესიისათა, თანადგომითა და წამებითა ეპისკოპოსთათა, წესთაებრ საეკლესიოთა“.

19) იხ. „Сборн Закон. Груз. царя Вахт. VI“, изд. Френкеля. Тифлисъ. 1887 г. გვ. 118—119: § 103 შეად. § 102.

20) ნახ. იქვე თვით ვახტანგის კანონებ § 25 შეად. § 35 იხ. Brosset. Jntroduction... p. CIX—CX.

21) იხ. მაგალითად თ. ჟორდანიას „ქრონიკები“ წ. წ. I და II.

22) Д. Пурцеладзе. „Груз. церковн. гуджары“ стр. 35 и 85.

ბლეს ამით: ურჩიეს ასანაურლებს, ნუ გეშინიანთ, წადით და ისევ შერეკეთ საქონელი, ჩვენ დაგეხმარებითო. ასანაურლებმაც დაუჯერეს და ხელ-მეორედ შერეკეს საქობოს მინდვრებში საქონელი და ყორუღიც მოაძოვეს. საქობომ რომ შეიტყო, გაემართა მინდვრებისაკენ, გამორეკა საქონელიც და ერთი ძროხა და ღორიც მოუკლა. ამ ამბავმა მეტად გაანაწყენა მაზრის ადმინისტრაცია და შეუთვალა საქობოს: არ გაბედოთ ამას იქით დაუშალოთ ასანაურს მამულებით სარგებლობა, თორემ შავ დღეს დაგაყენებთო; ასანაურს კი უბრძანა, წადი ის რგებლე მამულებით, საქობო ხელსაც ვერ გახლებსო. საქობომ მოითხოვა მიწის მზომელი, რომ გაეგო ვისია სადავო მამული. მიწის მზომელიც მოვიდა, პლანიც მოიტანა და აღმოჩნდა, რომ ძალიან ბევრი მამული არის იქ აღნიშნული საქობოსი, მაგრამ საქობოს კი არ უჭირავს. ამისდა მიუხედავად ადმინისტრაციამ მაინც უბრძანა ასანაურს, წადი და დაიჭირე ის მამულებიო. საქობომ გამორეკა ასანაურის საქონელი და ორი ძროხაც მოუკლა. ამ ამბავმა ძალზე გააბრაზა პატარა ბიუროკრატები. ვიღაცას დარიგებით ასანაურელებმა მაშინვე იჩივლეს მაზრის უფროსთან, რომ ვითომ საქობოელებმა აუარებელი ძროხა დაუხოცეს და ოცამდე კაცსაც სასიკვდილოდ სცემესო. ეს ვითომდა ნაცემი კაცები წარუდგინეს მაზრის უფროსს, რომელმაც დაამგზავრა ისინი ექიმთან შესამოწმებლად. მაგრამ ექიმის შემოწმებით აღმოჩნდა, რომ არც ერთი ნაცემი არ იყო; მოეგროვებინათ ციებ-ცხელებიანი და სხვა ავადმყოფები; უნდოდათ ესენი ნაცემ კაცებად გაესაღებინათ. ამაზე დამემოწმება პატივცემული ექიმი მოსესოვი.

ყოველსავე ამას შემდეგად ის მოჰყვა, რომ საქობოში ეგზეკუცია ჩააყენეს, რომ დაისაჯოს სოფელი და ველარ გაბედოს ხმის ამოღება. როდესაც ეგზეკუცია ჩააყენეს სოფელში, ერთი მამაკაცი არ იყო სახლში და ქალებიც სამუშაოდ იყვნენ მინდვრად. სახლებში რამდენიმე ბებრუხანა და ბავშიდა იყო.

განწირული.

წერილი რედაქციის მიმართ

I

7 ივნისს რამდენსამე ქალს გვინდოდა დავსწრებოდით ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებას. გვითხრეს, თავად-აზნაურთა მმართველებმა დაადგინეს ქალები არ შეუშვათო. რასაკვირველია, ასეთი დადგენილება არ გვესიამოვნა და გადავწყვიტეთ მოგვეცადნა იმ დრომდე, სანამ თვითონ კრება არ გადასწყვეტდა ამ საკითხს. თითქმის ორი საათი ველოდით ბანკის დერეფანში. კრება დაიწყო და ნახევარ საათს შემდეგ ერთმა დამსწრემ აღძრა ჩვენ შესახებ საკითხი. გაისმა ტაშის კვრა და გვთხოვდნენ შევსულიყავით კრებაზე. სამჯერ გაიმეორეს თხოვნა და როცა დავრწმუნდით პროტესტს არავინ აცხადებდა და გვითხრეს, თვით თავმჯდომარე გთხოვთო, მხოლოდ მაშინ შევედით კრებაზე. თავ. ი. გ. ამილახვრის სიტყვას პროტესტი გამოუცხადა ერთმა დამსწრეთაგანმა. ეტყობა, ეს პროტესტი შეურაცხყოფად მიიღეს „მილიციონერებმა“ და გამოქანდნენ უკანა რიგებისკენ ყვირილით: „ნუ შევარჩენთ მაგათაო!“ განცვიფრებული შევცქეროდი ჩვენ ბრწყინვალე თავად-აზნაურთა ქცევას, როდესაც თავად კონსტანტინე ბაბახანისძე ერისთავმა, როგორც გავიგე, მილიციის ასის-თავმა, ჩამჭიდა მკლავში ხელი და ამ სიტყვებით: „გაეთრიეთ აქედანაო (убирайтесь вонъ отсюда), კარებისაკენ გამიტყორცნა. ვიწვევ თავ. კონსტანტინე ბაბახანისძე ერისთავს, საჯაროდ ახსნას ჩემდამი შეურაცხყოფის მიზეზი. დიახ, თავად-აზნაურთა მილიციის დაბადების შემდეგ, ქალებს აღარ შეესვლებათ თავად-აზნაურთა კრებებზე, და უმჯობესი იქნებოდა პატივცემულ მარშლებს ეხელმძღვანელათ ამ ჯარემოებით და არა იმითი, კანონიერია თუ არა თავად-აზნაურთა კრებაზე ქალების დასწრება.

დღითი-დღე მატულობს მილიციის დამახასიათებელი ფაქტები. რა პროგრამაც უნდა წარმოადგინონ მათ, ფაქტი ფაქტად დარჩება და ვშიშობთ, ვაი თუ, როგორც რუსული ანდაზა ამბობს, ეს მხოლოდ ყვავილებია და ნაყოფმაც მალე იჩინოს თავი.

თამარ ფალავანდიშვილი.

II

ბ-ნო რედაქტორო!

თქვენმა კორესპონდენტმა იმდენი წყალობა მოიღო ჩემზე, რომ გამათავებინა ქუთაისის გიმნაზია და მითავაზა „სიმწიფის ატესტატი“. ამისთანა საჩუქრისათვის დიდ მადლობას შევსწირავდი, სხვა დრო რომ ყოფილიყო, მაგრამ ეხლა დიდ სირცხვილად მიმაჩნია „ატესტატი“-ს მიღება ქუთაისის გიმნაზიელთათვის, რომელნიც მიზეზად გახდნენ 14 თებერვლის, ქუთაისში მომხდარ, ტრაგედიისა. ამისათვის ვსთხოვ რედაქციას, ადგილი დაუთმოს თავის გაზეთში ამ ჩემს წერილს და მით მომცეს შეძლება ამოვირიცხო თავი იმ პირთა სიიდან, რომელნიც ამ ცოტა ხნის წინად „ერთობ აღელვებულნი იყვნენ“, რომელთაც, „ზიზღი და შერცხვენა გამოუცხადეს გამრყვნელ ბიუროკრატიულ სკოლას“, მაგრამ... მიუხედავად ყველა ამისა, წაიღეს თავისი „პატიოსანი“ სიტყვა უკან და არ ითაკილეს ეგზამენის ჩაბარება.

დავშთები თქვენი პატივისმცემელი
ი. ჭეიშვილი.

P. S. სხვებსაც რომ ჩემისთანა დღე არ დაადგეთ, ამისათვის ნუ დაიზარებთ იმ მოწაფეთა გვარების მოთავსებას, რომელნიც ეგზამენებზე არ მივიდნენ: სოლომონ ახვლედიანი, ვასილ გლუშაკოვსკი, ალექსანდრე დადეშქელიანი, სპირიდონ კედია, გრიგოლ მაღლაკელიძე, ალექსანდრე ჯაფარიძე, ვასილ მაჭავარიანი, პეტრე მღებროვი, ვლადიმერ პაპავა, დიტო უზნაძე, დიმიტრი და მიხეილ სტავრაკოვები, გრიგოლ ყორღანოვი, ალექსანდრე ტორაძე, სამსონ ჭეიშვილი.

ი. ჭ—ლი.

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

8 ივნისს

გუნჯულინი, 7 ივნისი. მთელ ფრონტზე უკანა ჯარების ბრძოლა იყო; ბრძოლა ჩვენს მარჯვენა ფრთაზე დაიწყო.

ტოკიო, 8 ივნის. იაპონელებმა დაიჭირეს კიონ-სინი, ძლიერ კარგი პოზიცია მდ. ტიუმენზე, კორეის საზღვართან.

ტოკიო, 8 ივნისი. ფრონტიდან მოსულ ცნობების თანახმად იქ შემდეგი მდგომარეობა არის: ლინევიჩი განცვიფრდა, როცა გაიგო, რომ იაპონელებს ჯარები დაუყენებიათ მარჯვნივა და მარცხნივ და უბრძანა მიშჩენკოს იმოქმედოს ყაზახებით და იერიში მიიტანოს იაპონიის ცალ-ცალკე პოსტებზე, რათა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინოს, ვითომც რუსებმა წინ გალაშქრება დაიწყეს. ამ ოპერაციებისთვის მიჰყავდათ ზოგჯერ მთელი ბრიგადა, ზოგჯერ-კი მხოლოდ ერთი სოტნა ანა და ქვეითები და კავალერისტები ერთმანეთში არეული. რუსებმა მზვერავებიც გაგზავნეს, მაგრამ იაპონელებმა არ შეატყობინეს თავიანთი განზრახვანი მიშჩენკოს დიდი ზარალი მოუვიდა. მან გაიარა მონგოლიის ტერიტორიით, შეიძინა იქ სურსათი, დაიქირავა ჩინელი ჯაშუშები და გაგზავნა იგინი, საცა იაპონელები იყვნენ დაბანაკებული იმ მხარეს მიშჩენკოს მოხსენება მოუვიდა, დაუჯერა მას და გაემართა იაპონელების ბოლო მარცხენა ფრთისკენ რათა მიწერ-მოწერის საშვალება წაერთმია მათთვის და ჩრდილოეთიდან დაეხვევინებია მტრის ჯარებისთვის.—ლინევიჩის ფიქრით იაპონელების მომავალ შეტაკებას მიზნათ ვლადივოსტოკის გზის სრულიად მოჭრა აქვს და ამიტომ გადასწყვიტა, რაც დაემართოს, დაიცვას ხარბინი. ხარბინში მაშველი ჯარების მოსვლის შემდეგ მდ. სუნგარისა, ჩანჩუნსა და გირინში დღე და ღამე მუშაობენ დამცველ სიმაგრეებზე და აუარებელ ფუგასებს აწყობენ.—ზღვაზე ბრძოლაში ტყვეთ წაყვანილთა საერთო რიცხვი 7282 ამათში 415 აფიცერია.

ტოკიო, 9 ივნისი. იაპონელებმა საბოლოოდ დაიჭირეს კანსუნი.

მოსკოვი, 8 ივნისი. საბჭოს ხალხის წარმომადგენლების ორგანიზაციის ორ-პალატიანის სისტემის პროექტი მიიღო.

სიმფეროპოლი, 8 ივნისი. საგუბერნიო არაჩვეულებრივმა კრებამ ვერ ნახა საკმაო საბუთები გუბერნიაში გაძლიერებულ დაცვის შემოღებისა და შუამდგომლობა აღძრა მისს გაუქმებაზე და ამასთან დაადგინა: პირველ კრებისთვის ორ-ხარისხოვან სისტემით იქნან არჩეულნი ხალხის წარმომადგენელნი, კრებამ გადასწყვიტა ხელი შეუწყოს ქალების მამაკაცებთან გათანასწორების პეტიციის განხორციელებას.

სტამბოლი. რადგანაც პორტამ დღემდე არავითარი პასუხი არ მისცა ელჩებს, უკანასკნელნი ახალ კოლექტურ ნოტას ადგენენ და ითხოვენ, შემოღებულ იქნას მაკედონიაში საერთაშორისო საფინანსო კონტროლი. ნოტას რამდენიმე დღის უკან ჩააბარებენ პორტას.

მიტავა. ვსული დღესასწაულებზე აგიტატორები სარგებლობდნენ ლიუტერანთა ეკლესიებში დოცვაზე ბლომად ხალხის დასწრებით და ახდენდნენ არეულობებს, რომელთაც ზოგან ძლიერ საგრძნობელი ხასიათი მიიღეს.

ლოძი. რადგანაც გავრცელდა ხმა, რომ გლეხ-კაცებს ნება მიეცათ შეშა მოსჭრან და საქონელი აძოვონ სახელმწიფო ტყეებშიო, ტომაშენვისა და სპალის ახლო-მახლო ადგილებში გაჩნდნენ გლეხები და მოინდომეს ტყეებით სარგებლობა და ემუქრებოდნენ დამშლელთ. საჭირო შეიქნა ჯარების გამოწვევა წესიერების აღსადგენათ.

პარიზი. რუვიეს მიერ რადოლინისადმი მომართულ ნოტაში მაროკოს შესახებ. ნაჩვენებია საფრანგეთის პოლიტიკა და რამდენჯერმე გამეორებული, რომ საფრანგეთს განზრახვა ჰქონდა დაეცვა მაროკოს მთლიანობა და სულთნის უმაღლესი უფლებები და აგრეთვე და კრების პრინცეპს· საფრანგეთს ჩამოთვლილი აქვს, რა პირობებით მიიღებს იგი მონაწილეობას კონფერენციაში და სთხოვს გერმანიას გადაწყვეტილი პასუხი მისცეს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

8 ივნისი.

ტოკიო, 8 ივნისი. ოფიციალურად იუწყებიან, იაპონიის რაზმმა ვეიუანპუმინის მხრივ დაიჭირა ლიანვაჩუო. 6 ივნისს იაპონელებმა დაიჭირეს ვეიუანპუმინის ჩრდილო-აღმოსავლეთით იანმუნდინცზი და შევიწროვეს რუსები გირინის გზისკენ. მეორე რაზმმა განდევნა რუსები იანზოლინის პოზიციებიდან და დაიჭირა მაღლობები შახავოიცზის ჩრდილო-დასავლეთით. რუსებმა გასწმინდეს პოზიციები იანზოლინის ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით. ჩანტაფუს მხრივ იაპონიის რაზმმა გაილაშქრა რკინის გზის გასწვრივ. რუსის კავალერიამ და ქვეითებმა, რომელთაც მაღლობები ეჭირათ ჩრდილოეთით, უკან დაიხიეს. იაპონელებმა ხელთ იგდეს გორაკები სუმოიატცზის სამხრეთით, ჩანტუფუდან ჩრდილო-აღმოსავლეთით. სადგური დაენგრიათ რუსებს. იაპონელებს 5 დაუჭრეს, რუსებმა 10 მოკლული დასტოვეს ბრძოლის ველზე; ამათში ერთი აფიცერია. იაპონელებმა ხელთ-იგდეს ერთი ტყვიის მტყორცნელი და ერთი ცხენი. იაპონიის რაზმმა ჩრდილოეთ კორეიაში 7 ივნისს კონმსინგი დაიჭირა. რამდენიმე ათასმა რუსმა არტილერიითურთ დაიხია ჩრდილოეთისკენ 12 მილის მანძილზე.

ლონდონი. სრულიად საიმედო წყაროდან იუწყებიან, დღემდე არც რუსებისა და არც იაპონელების მხრივ არ ყოფილა აღძრული კითხვა დროებით ზავის ჩამოგდების შესახებ. ყოვლად უსაფუძვლოა გაზეთებში დასტამბული ცნობები.

მოსკოვი, 8 ივნისი. სამებისთვის მოსკოვში უნდა მომხდარიყო მუშებისა და მოსამსახურეების საერთო გაფიცვა. აგიტატორების აზრით ამ გაფიცვას დიდის პოლიტიკურის დემონსტრაციის ხასიათი უნდა ჰქონოდა, მაგრამ ფაბრიკის მუშებმა, დაღლილებმა პოლიტიკურ ბრძოლაში, ღონე გამოლეულებმა გაფიცვებით და მოტყუებულებმა აგიტატორების აღთქმებით, შრომასა და სესიერებას დაუჭირეს მხარი და უფრო-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის კანონიერ გზის გამონახვას დაადგნენ. მუშების გაფიცვისათვის გავრცელებულ პროკლამაციებს ზოგს გულ-გრილად შეხვდნენ, ზოგს კი მუშებისაგან აგიტატორების ცემა მოჰყვა.

პეტერბურგი, 8 ივნისი. უმაღლესის ბრძანებით სახელმწიფოს დაცვის საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.

სიდნეი. აქ მოსულ გერმანიის გემ „პრინც სიგიზმუნდ“-ის ეკიპაჟმა აუწყა, 19 მაისს დამიჭირა კრეისერმა „დნეპრ“-მა დუცონის ჩრდილოეთით, გამჩხრიკა და მერმე გამოუშვა.

ბერლინი. „კელნიშე ცაიტუნგ“-ი ამბობს, იმდენი ისტორიული მნიშვნელობა რუსეთისთვის ხელმწიფის წინაშე წარმოთქმულ სიტყვებს არ აქვს, რამდენიც თვითონ ფაქტს დეპუტაციის მიღებისას, ეს დიდი ნაბიჯია პროგრესის გზაზე. „კრეიც-ცაიტუნგ“-ი სურს, რომ რუსეთის ტახტსა და ხალხს შორის ურთიერთობა დამყარდეს.

ლონდონი. ბროდრიკის სიტყვით ინდოეთის უკანასკნელ წლის შემოსავალმა ყველა წლებისას გადააჭარბა.

სიმფეროპოლი. საგუბერნიო კრებამ მიიღო, საცა ჯერ არს იქ გასაგზავნად, ქალების პეტიცია მათ მამაკაცებთან უფლებებში გასწორების შესახებ.

პეტერბურგის ბირჟა 7 ივნისი 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,25
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები.	94,80
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე	37,67½
ბირჟის დისკონტი	5½ 6¾%
4% სახელმწიფო რენტა	87¼
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . . .	—
4½% შინაკანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. . .	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. .	401
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	303
5% გირ. პომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	269¼
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. . . .	—
5½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . .	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ. .	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა . .	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა .	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა . .	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია . . .	195½

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში, ოფ ასუ ქალაქის ღამის თავ-შესაფარი სახლები:

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, -სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის სავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯორის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 2 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

გამოსაღები ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
18 აპრილიდან.

ჭრიჭინები გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № (20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.) 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ., (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 48 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღ. 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.) 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 9 წ. (11 ს. 7 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 ს. (8 ს. 20 წ.).

შორაპნამდე: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“
ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში,
   ღია არის დილით 10—2 საათ
   „ „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—8 „

განცხადებანი

ბებია ქალი

სოფიო ილიას ასული ლოკშ-გელბორდტი გადავიდა ხაზინის ქუჩ. № 47 ს. კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.
(თვ.—255—1)

---

1 ივნისს, **ტფილისის სადგურზე დაიკარგა** თეთრი კალათი. კალათში სხვა და სხვა ნივთებია და სხვათა შორის ხელნაწერი „მზის სხივი“.

ვინც ნახა, ვთხოვთ წარმოადგინოს „წ. კ. საზოგადოებაში“ (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა), და მიიღებს ჯილდოს. (2—6.—2).

ბ. ქიქოძის და ბ. თავართქილაძის სავაჭრო

ქ. [illegible]

სტამბა [illegible]

მარინსკი პროსპ. ტფილისის სავაჭრო ბანკის სახლში

წიგნის მაღაზია და საკანცელარიო ნივთების საწყობი

დოხტუროვის-გოლოვინის ქუჩ., იმავე ბანკის სახლში.

1. **სტამბა ღებულობს დასაბეჭდად:** წიგნებს, ბლანკებს, აფიშებს, ვიზიტის-კარტოჩკებს, კონვერტებს, სადარბაზო ბარათებს და სხ. ყოველ-გვარ სასტამბო საქმეებს: რუსულს, ქართულს, სომხურს და სხ. ყველა ევროპიულ ენებზე.

2. **წიგნის და საკანცელარიო ნივთების საწყობში მოიპოვება:** ქართული-რუსული წიგნები და კალენდრები, მრავალნაირი რვეულები, კანტორის წიგნები სხვა და სხვა ზომისა და ფერისა, წიგნის და ფოსტის ქაღალდები, რვეულები, [illegible] კონვერტები საფოსტო და საკანცელარიო; ალბომები, [illegible]; მხატვართათვის [illegible] და სხვა [illegible] საკანცელარიო ნივთები და სხვ. (0—18)

სადგურ ტფილისიდან სადგურ ნატანებამდე, გზაში, ვაგონის მე-2 კლასში, 1904 წლის 10 დეკემბერს, **დაიკარგა ჩემოდანი** რომელშიაც იყო: ასმანეთიანი ქაღალდის ფული და შემდეგი ნივთები: ვერცხლის სათუთუნე მონოგრამით; ზაპონკები საფირონით; ერთი ბრიუსელის აბრეშუმის ყაბალახი; ბრიუსელის ერთი შავი ნაკოლკა; რუსული აბრეშუმის შალი; დიდი სპარსული შავი შალი; დიდი თეთრი, აზიურ მაუდის მოსახურავი; 2 შავი აბრეშუმის კაბა აბრეშუმისავე სარჩულზე; ერთი შავი შალის კაბა; აბრეშუმის კარგი პერანგი; შავი ტიული; 3 ტიული თეთრის არშიით; შავი შალი თეთრის წერტილებით; შავი აბრეშუმის იუბკა; სამი სარტყელი ბანტითა და პრიაშკებით; 6 პერანგი; 2 თეთრი და შავი სარტყელი ლენტებისა; რამდენიმე პერანგი და პერანგის ამხანაგი; ძვირფასი ფეხსაცმელი ფოლაქებით; ტუფლები; 12 წყვილი ჩულქი სხვა და სხვა ფერისა; ზეწრები; სკატერტები; სალფეტკები; პირსახოცი; კორსეტი; ცხვირსახოცები; ხელთათმანები; სხვა და სხვა ლენტი და ქაღალდი. ქ. ოზურგეთი, კნ. ნინო კაციას ასული გურიელი. (2—2)

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია **„ცოდნა“** გამოცემა

სამშობლოსათვის თავდადებულნი .	40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში	—20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა	—20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი . . .	10
იაპონია ნ. ნიკოლაძისა	20

დარბაზის კედლისად მოსართავი სურათები:

შოთა რუსთაველისა დიდი 50 კ. აკაკისა 40 კ. ილია ჭავჭავაძისა 40 კ. რაფიელ ერისთავისა 40 კ. ნ. ბარათაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ. ირაკლი მეფისა 30 კ. ეგნატე ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ., ჯგუფი თამარ. ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ. საქართველოს დიდება 1—20 კ. თამარ მეფის დიდი სურათი 1—50 კაპ. პატარა 6 კაპ.

და სხვა უთვალავი წიგნები.

მოსამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“ **სოსიკო მერკვილაძე.** (20—8)

იბეჭდება და ჩქარა გასასყიდად გამოვა
გრ. ჩარუხჩიანის ნაწერი
„სომეხთა საკითხი რუსეთში“
ფასი 15 კაპ. ადრესი: ტფილისი ბროსსეს ქუჩა, № 5, ა. ა. ოვანესიანცი. (2—256—1)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელვის ქუჩა, იქალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონი- მ. ჯ. შვილისა—პოემა ბაჩანაზი. . .	— 10
იოსებ დავითაშვილის ლექსები . .	—50
ბნელი, მოთხრობა—შელანიასი . .	— 20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1
II და III ტომი თითო	1 —
ი, ჭავჭავაძის I ტომი	— 70
იგივ II და III ტომი თითო . .	— 60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ . . .	— 80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა .	— 10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	— 40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო .	— 60
რაფ. ერისთავის I ტომი	— 60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	— 20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა .	— 55
სიბრძნე ბალავარისა	— 30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	— 10
დვინის დაუენება, პროფ. გ. პეტრაშვილისა	1 56
რძე, მისივე	1 50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი —გენრიხ სენკევიჩისა	— 80
დასტურ-ლამა	— 20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა . . .	— 25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა : . . .	— 20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან კ. ჟვანგულოვისა	1 --

Доз. ценз. Тифлисъ, 6 Iюня 1905 г.

Печ. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—სა